Если через X, У и А обозначить соответственно вектор-столбцы валовых выпусков ($x_i$) и конечного продукта ($y_i$) и квадратную матрицу коэффициентов прямых затрат ($a_{ij}$) продукции i-й отрасли на единицу продукции j-й отрасли, то взаимосвязь между совокупным и конечным продуктами можно отразить с помощью статической модели межотраслевого баланса: $X = AX + У$, или же $X = (E - A)^{-1} У$, где $(E - A)^{-1}$—матрица коэффициентов полных затрат. Так же, как и для модели (1), из-за годового представления процесса общественного воспроизводства коэффициенты $a_{ij}$ отражают только затраты предметов труда.

Пусть $q_i$ является стоимостью единицы валового выпуска продукции i-й отрасли, а Q — вектор-строка из $q_i$. Аналогично (3) можно представить и формулу стоимости единицы валового выпуска продукции каждой i-й отрасли:

$$q_i = c_{1i} + c_{2i} + c_{3i} + v_i + m_i,\ i = 1, 2, .., n,$$

или в матричной форме

$$Q = C_1 + C_2 + C_3 + V + M,$$

где $C_1$, $C_2$, $C_3$, V и M — вектор-строки, соответственно из $c_{1i}$, $c_{2i}$, $c_{3i}$, $v_i$, и $m_i$.

Стоимость же всего совокупного продукта будет (10)

$$QX = (C_1 + C_2 + C_3 + V + M)X.$$

Стоимость единицы конечного продукта каждой j-й отрасли ($p_j$) аналогично (5) будеть выражена формулой:

ეროვნული ბიბლიოთეკა



$$p_j = \sum_{i=1}^{n} p_i a_{ij} + c_{1j} + c_{2j} + c_{3j} + v_j + m_j, \quad j = 1,2,\ldots,n.$$

или в матричной форме:

$$P = PA + C_1 + C_2 + C_3 + V + M, \tag{11}$$

где P — вектор-строка из $p_j$.

Решив (11) относительно P, получим:

$$P = (C_1 + C_2 + C_3 + V + M)(E - A)^{-1} \tag{12}$$

Стоимость всего конечного продукта будет:

$$PY = (C_1 + C_2 + C_3 + V + M)(E - A)^{-1}\ Y. \tag{13}$$

Сравнивая (10) и (13) с учетом того, что $X = (E - A)^{-1} У$, получим тождественное равенство между стоимостями совокупного и конечного продуктов, аналогичное (8): $QX = PУ$.

Если так же, как и для однопродуктовой модели, осуществить бесконечное разложение стоимости конечного продукта на стоимости затраченных в течение года предметов труда текущего производства, на к-й стадии этого разложения получим:

$$P = PA^k + (C_1 + C_2 + C_3 + V + M)(E + A + A^2 + \ldots + A^k + \ldots).$$

Из-за продуктивности матрицы $A, A^k = O$ и $E + A + A^2 + \ldots + A^k + \ldots =$

$= (E - A)^{-1}$ при $k \to \infty$[48] т. е. в пределе получим (12).

Следовательно, в многопродуктовой модели, так же как и в однопродуктовой, стоимость конечного продукта путем ее бесконечного разложения все равно не сводится к вновь созданной стоимости (V+M). Таким образом, и однопродуктовую и многопродуктовую модели формирования стоимости годового продукта можно использовать для экономико-математической интерпретации марксовой критики догмы Смита.

Заметим, что критика догмы Смита, исходящая из того положения, что будто бы из-за бесконечности перехода от стоимости одного продукта к стоимости другого с целью определения стоимости всего общественного продукта, само определение этой стоимости невозможно, беспочвенна, ибо, как было показано выше, бесконечный процесс перехода сходится. Поэтому сравнение М. В. Колгановым бесконечного перехода от стоимости одного продукта к стоимости другого «...с попыткой человека, который захотел бы найти начало и конец окружности»[49] бесспорно неудачно[50].

---

[48] См., например: А. Г. Гранберг. Математические модели социалистической экономики. Общие принципы моделирования и статические модели народного хозяйства.— М., 1978, с. 272.

[49] М. В. Колганов. Национальный доход. (Очерк по истории и теории вопроса) М., 1959, с. 79.

[50] На ошибочность позиции М. В. Колганова указывают А. Г. Аганбегян и А. Г. Гранберг. (см.: А. Г. Аганбегян, А. Г. Гранберг. Экономико-математический анализ..., с. 168).

ბიბლიოთეკა



Если в исходных моделях (5) и (11) отказаться от учета затрат, имеющихся на начало года, и импортируемых предметов труда ($c_2$, $c_2$ и $C_2$, $C_3$)[51], а амортизацию основных фондов ($c_1$ и $C_1$) объединить с затратами предметов труда текущего производства (более детально этот вопрос будет обсужден далее), то модели (5) и (11) модифицируются так:

$$p = pa + v + m, \tag{14}$$

$$P = PA + V + M. \tag{15}$$

Решив (14) и (15) по отношению p и P получим соответственно:

$$p = (v+m)\ \frac{1}{1-a}, \tag{16}$$

$$P = (V+M)(E-A)^{-1}. \tag{17}$$

Как видим, если неоправданно отказаться от учета в исходных моделях (5) и (11) стоимости затрат предметов труда, не являющихся результатом производства рассматриваемого периода[52], и объединить амортизационные отчисления с затратами предметов труда текущего производства, то получим формулы (16) и (17), якобы свидетельствующие о сводимости стоимости конечного продукта к вновь созданной за год стоимости. Именно так в начале века интерпретировал В. К. Дмитриев экономическое содержание полученных им же формул полных трудовых затрат[53].

В наше время периодически появляются работы, в которых авторы в целом не отрицают ошибочность догмы Смита, но по крайней мере не исключают возможности сведения стоимости конечного продукта к вновь созданной за год стоимости[54]. Так, в одном из последних учебных пособий по математическому моделированию макроэкономических процессов можно прочитать: «...стоимость товара можно представить как сумму доходов. (Однако это не означает, что она складывается из доходов, как утверждал А. Смит)»[55]. Этот пример, очевидно, не требует комментариев.

### 3. Воспроизводственная стоимость общественного продукта: сущность, сфера использования и проблема измерения

При рассмотрении моделей стоимости совокупного и конечного продуктов вновь созданная стоимость оценивалась условиями производства данного года, в то время как стоимость, переносимая со средств

---

[51] Вышеупомянутые работы С. С. Шаталина относятся к тем редким исключениям, в которых эти составляющие стоимости не игнорируются в соответствующих экономико-математических моделях.

[52] Такой отказ от учёта в моделях затрат тех предметов труда, которые не являются результатом производства текущего периода, по нашему мнению, неоправдан, ибо противоречит временному (годовому) исчислению общественного воспроизводства.

[53] В. К. Дмитриев. Экономические очерки, вып. I, СПб., 1904.

[54] В. Д. Белкин. Цены единого уровня и экономические измерения на их основе. М., 1963, с. 92—94; А. Г. Аганбегян, А. Г. Гранберг. Экономико-математический анализ..., с. 168.

[55] Математическое моделирование макроэкономических процессов. Л., 1980, с. 110.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



производства, не являющихся результатом производства рассматриваемого периода, учитывалась условиями производства того времени (и той страны), когда (и где) они были изготовлены. Если наряду с вновь созданной стоимостью и переносимую со средств производства стоимость оценить условиями производства текущего периода, т. е. условиями их воспроизводства, то в результате можно получить величину воспроизводственной стоимости продукта[56]. Таким образом, воспроизводственная стоимость продукта —это стоимость продукта, в которой стоимость, переносимая с затрачиваемых средств производства оценивается условиями текущего производства, т. е. стоимость, переносимая со средств производства, исчисляется при гипотетическом предположении, что они в начале рассматриваемого периода (года) отсутствуют и должны быть произведены в составе совокупного общественного продукта с помощью затрат живого труда в течение этого же периода. Принятие этого предположения, необходимого для определения воспроизводственной стоимости продукта, допустимо, ибо оно свидетельствует лишь о том, что стоимость продукта является мерой заключающегося в нем общественно необходимого труда. Так, по словам К. Маркса, «...совершенно верно, что составные части товаров, из которых состоит постоянный капитал, могут быть сведены, подобно всякой другой товарной стоимости, к частям стоимости, которые для производителей и собственников средств производства распадаются на заработную плату, прибыль и ренту. Это есть лишь капиталистическая форма выражения того факта, что всякая товарная стоимость есть лишь мера заключающегося в товаре общественно необходимого труда[57] (выделено нами — В. П.).

Само понятие воспроизводственной стоимости справедливо только по отношению ко всему общественному продукту, ибо на уровне каждого отдельного предприятия (отрасли) воспроизводство имеющихся средств производства, как правило, выходит за рамки производственно-технологического процесса, протекающего в нем. Так, К. Маркс подчеркивал, что «правильно во всем этом (имеется в виду смитовское предложение бесконечного разложения стоимости средств производства — В. П.) то, что в движении общественного капитала, т. е. в движении совокупности индивидуальных капиталов, дело представляется иначе, чем оно представляется для каждого индивидуального капитала, рассматриваемого в отдельности, т. е. чем оно представляется с точки зрения каждого отдельного капиталиста. Для последнего товарная стоимость разлагается: 1) на постоянный элемент («четвертый элемент», как называет его Смит) и 2) на сумму заработной платы и прибавочной стоимости, соответственно — на сумму заработной платы, прибыли и земельной ренты. Напротив, с общественной точки зрения «четвертый элемент» Смита, постоянная капитальная стоимость, исчезает»[58] (выделено нами — В. П.).

---

[56] Вопросы теории воспроизводственной стоимости общественного продукта наиболее полно разрабатываются в трудах С. С. Шаталина (см., например: С. С. Шаталин. Функционирование экономики..., с. 108—154).

[57] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 25, ч. II, с. 420.

[58] Там же, т. 24, с. 432—433.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Сфера применения показателя воспроизводственной стоимости общественного продукта для оценки различных сторон процесса общественного воспроизводства окончательно не очерчена и является предметом специальных исследований[59]. Здесь же мы лишь укажем, что одним из возможных направлений его использования, по нашему мнению, можно считать оценку экономической эффективности общественного воспроизводства как отношение стоимости единицы годового конечного продукта к его воспроизводственной стоимости. Чем ниже будет воспроизводственная стоимость единицы конечного продукта по отношению к его стоимости, тем эффективнее условия производства общественного продукта в рассматриваемом периоде по сравнению с предшествующими, ибо совокупные затраты живого и овеществленного труда на единицу конечного продукта, исчисленные условиями текущего производства, будут ниже тех же затрат, определяемых для живого труда условиями текущего производства, а для овеществленного труда — условиями производства предыдущих периодов. То, что здесь сравниваются друг с другом все затраты, а не только затраты овеществленного труда, о воспроизводственной оценке которых и идет речь, обусловлено прежде всего тем, что результат общественного воспроизводства — конечный продукт — получается путем затрат не только овеществленного, но и безусловно живого труда, т. е. всех совокупных затрат труда.

Для количественного определения воспроизводственной стоимости конечного продукта прежде всего в моделях (5) и (11) затраты существующих на начало года и импортируемых предметов труда следует учесть так же, как и затраты предметов труда текущего производства. Пусть $d_2$ и $d_3$—коэффициенты затрат этих предметов труда на единицу конечного продукта, а $D_2$ и $D_3$ — соответствующие матрицы. Тогда стоимость единицы конечного продукта будет:

$$p = pa' + c_1 + v + m, \qquad (18)$$

$$P = PA' + C_1 + V + M, \qquad (19)$$

где: $a' = a + d_2 + d_3$ и $A' = A + D_2 + D_3$.

Решив (18) и (19) относительно p и P, получим:

$$p = (c_1 + v + m)\,\frac{1}{1 - a'}, \qquad (20)$$

$$P = (C_1 + V + M(E - A')^{-1}. \qquad (21)$$

(20) и (21) лишь частично можно считать формулами воспроизводственной стоимости, ибо не все средства производства (в частности, средства труда) учитываются в них воспроизводственной стоимостью. Для решения этой проблемы общепринятым на сегодняшний день является подход, согласно которому амортизацию основных фондов следует учитывать так же, как и затраты предметов труда. Так, если через $d_1$ обозначить амортизацию основных фондов (а через $D_1$ — соответствуюшую матрицу), то воспроиз-

---

[59] См., например, указанные работы С. С. Шаталина.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



водственная стоимость единицы конечного продукта ($p'$ для однопродуктовой и $P'$ для многопродуктовой моделей), по их мнению, будет [60]:

$$p'=p'(a'+d_1)+v+m, \qquad (22)$$

$$P'=P'(A'+D_1)+V+M, \qquad (23)$$

решениями (22) и (23) будут:

$$p'=(v+m)\frac{1}{1-a'-d_1}, \qquad (24)$$

$$P'=(V+M)(E-A'-D_1)^{-1}. \qquad (25)$$

Для того, чтобы разобраться, насколько оправдано подобное объединение затрат предметов труда и амортизационных отчислений основных фондов, необходимо исследование экономического содержания $\frac{1}{1-a'-d_1}$ и $(E-A'-D_1)^{-1}$. Как было показано выше, их можно представить в виде бесконечных рядов, в частности:

$$(E-A'-D_1)^{-1}=E+(A'+D_1)+(A'+D_1)^2+\ldots+(A'+D_1)^k+\ldots \qquad (26)$$

Рассмотрим $(A'+D_1)^2=(A^1)^2+A'D_1+D_1A'+D_1^2$. Как известно из теории формирования коэффициентов полных затрат[61], $(A')^2$ является матрицей коэффициентов затрат предметов труда на производство предметов труда, затрачиваемых на единицу конечного продукта, а $D_1A'$ — матрицей амортизации основных фондов, функционирующих для производства предметов труда, затрачиваемых на единицу конечного продукта. Аналогично $A'D_1$ и $D_1^2$ интерпретируются соответственно как матрицы коэффициентов затрат

---

[60] Не все авторы пользуются понятием воспроизводственной стоимости общественного продукта, но тем не менее при определении цен единого уровня многие выступают на стороне именно такого «объединения» затрат предметов труда и амортизации основных фондов. См., например: Э. Б. Ершов. Показатели полных затрат и некоторые их применения в экономическом анализе. М., 1963, с. 10—13; В. Д. Белкин. Цены единого уровня..., с. 67—68; его же, Экономические измерения и планирование. М., 1972, с. 89—90; М. Р. Эйдельман. Межотраслевой баланс общественного продукта (теория и практика его составления). М., 1966, с. 215—219; С. С. Шаталин. Пропорциональность общественного..., с. 61—62; его же, Функционирование экономики..., с. 122—123; В. В. Коссов. Межотраслевой баланс. М., 1966, с. 47—48; Моделирование народнохозяйственных процессов. М., 1973, с. 145—147; А. Я. Боярский. Статистика и оптимальное планирование. М., 1977, с. 127 — 128; Национальный доход в социалистическом обществе. М., 1977, с. 375; В. А. Точилин. Цены и оптимизация межотраслевых связей. Киев, 1979, с. 62—76; О. Ланге. Введение в экономическую кибернетику. М., 1968, с. 62—63, и др.

В отдельных работах по ценообразованию кроме амортизационных отчислений предлагается «объединение» с затратами предметов труда и показателей удельной фондоёмкости с умножением на коэффициент рентабельности к фондам (см., например, Р. А. Белоусов. Общественно необходимые затраты труда и уровень оптовых цен. М., 1969, с. 208; В. В. Коссов. Межотраслевые модели (теория и практика использования). М., 1973, с. 346; Планирование народного хозяйства. М., 1973, с. 443—444).

[61] А. Г. Аганбегян, А. Г. Гранберг. Экономико-математический анализ..., с. 136—154.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



предметов труда и амортизации основных фондов на восстановление износа основных фондов, функционирующих для производства единицы конечного продукта. Таким образом, $A'D_1+D_1^2$ является матрицей суммарных материальных затрат якобы с учетом простого воспроизводства основных фондов. Для матриц, возведенных в более высокую степень, в бесконечном ряду (26), этот процесс будет учитываться многократно, и поэтому $(E-A'-D_1)^{-1}$ называют матрицей полных воспроизводственных затрат с учетом простого воспроизводства основных фондов.

Ошибочность такой трактовки простого воспроизводства основных фондов, по нашему мнению, заключается в отождествлении натурально-вещественной и стоимостной сторон этого процесса. Так, основные фонды, как известно, участвуют во многих циклах производства, сохраняя свою натурально-вещественную форму. По мере постепенного изнашивания они переносят свою стоимость на производимую с их помощью продукцию, что учитывается путем включения после каждого производственного цикла денежной суммы в виде амортизационных отчислений в издержки производства. Накопленный по истечении срока эксплуатации основных фондов амортизационный фонд в части реновации должен обеспечить полное восстановление последних по стоимости их воспроизводства к моменту их возмещения в натурально-вещественной форме. Таким образом, простое воспроизводство основных фондов вовсе не предполагает восстановление их износа после каждого цикла производства, как это «заложено» в $(E-A'-D_1)^{-1}$, а имеется в виду полное восстановление с помощью накопленных средств после полного их износа (физического и морального).

К аналогичному выводу можно придти и на основе однопродуктовой модели.

Таким образом, модели (24) и (25) непригодны для определения воспроизводственной стоимости общественного продукта, ибо в них допускается ошибочное отождествление характера воспроизводства предметов и средств труда.

В качестве модели воспроизводственной стоимости общественного продукта, по нашему мнению, можно использовать двойственную модель какой-либо динамической модели межотраслевого баланса. В частности, в рамках статики для этой цели можно использовать двойственную модель расширенной модели межотраслевого баланса с учетом технологической структуры капитальных вложений. Разработка таких двойственных моделей является самостоятельным предметом исследования.

Представлена отделом воспроизводства и экономической эффективности капитальных вложений Института экономики и права АН ГССР

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელგუჯა მექვაბიშვილი

# სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დიალექტიკური ერთიანობა

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დიალექტიკური ერთიანობა მათ წინააღმდეგობრივ ურთიერთზემოქმედებას გულისხმობს. ეს საკითხი პოლიტიკური ეკონომიის თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ ჯერ კიდევ ნაკლებად დამუშავებული საკითხია. მისი აქტუალობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება წარმოების ინტენსიფიკაციის გაღრმავების, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი სრულყოფის კვალობაზე, როცა მეურნეობრივ საქმიანობაში წინა პლანზე წამოიწევა შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების პრობლემები. სკკპ XXVI ყრილობაზე აღნიშნულ იქნა სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების დიდი მნიშვნელობა: „უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ სამუშაო დრო, აღვკვეთოთ მისი არამწარმოებლური დანახარჯები და დანაკარგები. გავუდიდოთ მშრომელებს თავისუფალი დრო საზოგადოებრივი მომსახურების განვითარების, საოჯახო მეურნეობაში მუშაობის გაუმჯობესების საფუძველზე, სრულვყოთ დასვენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასვენების ფორმები და ორგანიზაცია“[1].

საკითხის კვლევის ლოგიკა კარნახობს, რომ სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დიალექტიკური ურთიერთზემოქმედების კვლევა თითოეული მათგანის განსაზღვრით უნდა დაიწყოს.

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის განსაზღვრის მეთოდოლოგიური პრინციპები კ. მარქსს აქვს მოცემული. იგი ადამიანის დროის ბიუჯეტში უპირველეს გამოჰყოფს სამუშაო დროს (Arbeitzeit), მისგან წარმოებულ არასამუშაო დროს (Nicht—Arbeitzeit), არასამუშაო დროში ყურადღებას ამახვილებს თავისუფალ დროზე (Freiezeit), ხოლო ამ უკანასკნელში ცალკე ელემენტადაა გამოყოფილი მოცულობა (Musse und M βezeit)[2].

კ. მარქსი განსაკუთრებულ ყურადღებას სამუშაო დროის ანალიზს უთმობს და ეს გასაგებიცაა. შრომა არის საზოგადოების არსებობის საფუძველი და ძირითადი პირობა, შრომის რაოდენობა იზომება მისი ხანგრძლივობით — სამუშაო დროით. „შრომის რაოდენობრივი მყოფობა სამუშაო დროა“[3]. აღნიშნავს კ. მარქსი.

სამუშაო დრო საერთო ეკონომიკურ კატეგორიას წარმოადგენს, რომე-

---

[1] სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი. გაზეთი „კომუნისტი“, 5 მარტი, 1981

[2] K. Marx Grundisse der Kritik der politichen Okonomie (Rohentuwur). Dietz Verlg, Berlin, 1953, S. 594, 595, 599.

[3] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 19—20.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიც სოციალიზმამდეც არსებობდა და სრული კომუნიზმის დროსაც იარსებებს. „სამუშაო დრო, მაშინაც კი, როცა საცვლელი ღირებულება მოისპობა, მუდამ დარჩება სიმდიდრის შემქმნელ სუბსტანციად და ამ სიმდიდრის წარმოებისათვის საჭირო ხარჯების საზომად" — მიუთითებს კ. მარქსი. ამასთანავე, ადამიანის მთელი ცხოვრება მხოლოდ შრომით (სამუშაო დროით) როდი შემოიფარგლება. მას სჭირდება დრო, როგორც შრომის პროცესში დახარჯული სულიერი და ფიზიკური ენერგიის აღსადგენად (არასამუშაო დრო), ისე დრო „თავისუფალი მოქმედებისა და განვითარებისათვის", ე. ი. თავისუფალი დრო. არასამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ცნებები კ. მარქსს სამუშაო დროის კატეგორიის ანალიზიდან გამოჰყავს. კერძოდ კი იქედან, რომ გამოჰყოფს სამუშაო დროის ფიზიკურ და მორალურ საზღვრებს: „...დღის ერთი ნაწილის განმავლობაში ძალამ (იგულისხმება მუშაძალა—ე. მ.). უნდა დაისვენოს, იძინოს, მეორე ნაწილის განმავლობაში ადამიანმა უნდა დაიკმაყოფილოს სხვა ფიზიკური მოთხოვნილებანი, —ისაზრდოოს, დაიცვას სისუფთავე, შეიმოსოს და სხვა. გარდა ამ წმინდა ფიზიკური საზღვრებისა სამუშაო დღის გაგრძელება მორალურ საზღვრებსაც აწყდება. მუშა საჭიროებს დროს ინტელექტუალურ და სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთა მოცულობა და რიცხვი კულტურის საერთო მდგომარეობით განისაზღვრება. ამიტომ, — დაასკვნის კ. მარქსი, — სამუშაო დღის ცვალებადობა ფიზიკურ და სოციალურ საზღვრებს შიგნით მოძრაობს"[4].

აღნიშნულის საფუძველზე რამდენიმე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: პირველი — სამუშაო დრო საფუძველია, არასამუშაო დრო კი მისგანაა წარმოებული; მეორე, არასამუშაო დრო არის მუშაძალის კვლავწარმოების აუცილებელი პირობა; მესამე — არასამუშაო დროში გამოიყოფა დრო როგორც ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ისე ინტელექტუალური და სოციალური განვითარებისათვის.

კ. მარქსი წერს, რომ თავისუფალი დრო ეს არის დრო „ადამიანის განათლებისათვის, ინტელექტუალური განვითარებისათვის, სოციალური ფუნქციების შესრულებისათვის, ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობისათვის, ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების ლაღი თამაშისათვის, სიამოვნებისათვის, გართობისათვის, დრო როგორც მოცალეობისათვის, ისე უფრო ამაღლებული საქმიანობისათვის"[5]. თავისუფალი დრო არის სივრცე ადამიანის (და მისი მწარმოებლური ძალების) განვითარებისა[6]. იგი არ შთაინთქმება უშუალოდ მწარმოებლური შრომის მიერ, არის სიმდიდრე და სიმდიდრის საზომი[7]. თავისუფალი დრო ეს არის თავისუფლების ჭეშმარიტი სამეფო[8].

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დიალექტიკური ერთიანობის კვლევა ერთ დაზუსტებას მოითხოვს: თავისუფალი დრო არასამუშაო დროის შემადგენელი ელემენტია, მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ არა სამუშაო დროისა და

---

[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 294.

[5] იქვე, გვ. 335.

[6] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი) ნაწილი III, თბ., 1978, გვ. 305.

[7] Маркс К. Энгельс Ф. Соч., т. 46, ч. II, с. 221.

[8] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწილი II, თბ., 1959, გვ. 449.

არასამუშაო დროის დიალექტიკურ ერთიანობაზე, არამედ სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ერთიანობაზე. რა როლს თამაშობს ამ შემთხვევაში არასამუშაო დრო?

სოციალური დროის ორპოლუსიან ერთიანობაში (სამუშაო დრო — თავისუფალი დრო), არასამუშაო დრო ერთგვარ შუალედურ ადგილს იჭერს. არასამუშაო დროდ ჩვენ აქ განვიხილავთ არა მთელ იმ დროს, რომელიც თავისუფალ დროსაც მოიცავს, არამედ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც თავისუფალი დროის გამოკლების შემდეგ რჩება. არასამუშაო დრო სამ ფუნქციას ასრულებს: 1. აშუალოებს სამუშაო დროის თავისუფალ დროზე, და პირიქით, ზემოქმედებას; 2. შრომის პროცესისათვის ამზადებს ადამიანს და 3. სათანადო პირობებს ქმნის თავისუფალ დროში ადამიანის საქმიანობისათვის. მაშასადამე, არასამუშაო დრო წარმოგვიდგება ერთგვარი „გარდამავალი დროის" სახით, მაგრამ „გარდამავლობა" არ ნიშნავს მის მეორეხარისხოვნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დიალექტიკური ერთიანობის კვლევისას, ყოველთვის უნდა განვიხილოთ თითოეული მათგანის არასამუშაო დროსთან მიმართება. ლოგიკურად და ისტორიულად თავისუფალი დრო არასამუშაო დროის შიგნით წარმოიშობა და მის დანარჩენ ელემენტებთან ორგანულ კავშირში არსებობს.

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთზემოქმედებას აქვს რაოდენობრივი და თვისებრივი მხარე. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაო დროის შემცირება ადიდებს არასამუშაო დროს (და მასში თავისუფალ დროსაც), ხოლო გადიდება კი — პირიქით, ამცირებს არასამუშაო (თავისუფალ) დროს. რაც შეეხება თვისებრივ მხარეს, — სამუშაო დრო თავისუფალი დროის ბაზისია,[9] ამიტომ სამუშაო დროში მომხდარი ცვლილებები განაპირობებენ ცვლილებებს თავისუფალ დროში. თავის მხრივ, თავისუფალი დრო უკუზემოქმედებს სამუშაო დროზე[10]. ნორმალური საზომით შეზღუდულ სამუშაო დროს, დროს თავისუფალს სოციალური ანტაგონიზმებისაგან, „ისეთი ადამიანის თავისუფალ დროს, რომელიც ამასთან ერთად არის ადამიანი, რომელსაც თავის განკარგულებაში თავისუფალი დრო აქვს, უნდა ექნეს გაცილებით უფრო მაღალი თვისება, ვიდრე მუშა პირუტყვის სამუშაო დროს"[11] — მიუთითებს კ. მარქსი.

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ერთიანობა გამოხატავს საზოგადოებრივი წარმოების (წარმოებისა ფართო გაგებით) ორ მხარეს — საკუთრივ წარმოებასა და მოხმარებას მათ დიალექტიკურ ერთიანობაში. თავისუფალი დრო ერთის მხრივ განეკუთვნება წარმოების პროცესის შედეგის — (პროდუქტის) მოხმარების სფეროს და მაშასადამე, მუშაძალის კვლავწარმოების სფეროა. წარმოება კი არის მუშაძალის მოხმარების პროცესი.

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთზემოქმედების კვლევისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მარტო თავისუფალი დროის ცნების, არამედ მისი სტრუქტურის განსაზღვრასაც. კ. მარქსი თავისუფალი

---

[9] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი) ნაწილი III, თბ., 1975, გვ. 307.

[10] Маркс К., Энгельс Ф. Соч., т, 46, ч. II, с. 221.

[11] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, გვ. 307.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროის მრავალრიცხოვან სტრუქტურულ ელემენტებს ორ ძირითად ჯგუფად აერთიანებს:

პირველი—მოცალეობა და მეორე—დრო უფრო ამაღლებული საქმიანობისათვის[12]. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია თავისუფალი დრო განხილული იქნეს არა მარტო როგორც უქმე, არამედ შემოქმედებითი პროცესებით აღვსილი დრო, დრო არა მხოლოდ შრომითი პროცესის (სამუშაო დროის) შემდეგ, არამედ შრომით პროცესამდე (სამუშაო დრომდე), არა როგორც სამუშაო დროის უბრალო პასიური შედეგი, არამედ როგორც მისი არსებობის (შრომის განხორციელების) აუცილებელი პირობა. სწორედ აქ ვლინდება თავისუფალი დროის დამოუკიდებელი ეკონომიკური შინაარსი და კ. მარქსის იმ დებულების ღრმა აზრი, რომ თავისუფალი დრო აქტიურად ზემოქმედებს სამუშაო დროზე.

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დიალექტიკური ერთიანობის არსის გაგებისათვის, ჩვენი აზრით, დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს კ. მარქსის მიერ „აუცილებლობის სამეფოს“ და „თავისუფლების სამეფოს“ ურთიერთმიმართების კვლევას. თავისუფლების სამეფო საკუთრივ მატერიალური წარმოების სფეროს მიღმა მდებარეობს, მაგრამ იგი შეიძლება აყვავდეს მხოლოდ აუცილებლობის სამეფოს საფუძველზე[13].

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთმიმართების პოლიტეკონომიური კვლევა ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის მეთოდოლოგიურ პრინციპს უნდა ემყარებოდეს, რომელიც გულისხმობს როგორც აბსტრაქტული მომენტების გამოყოფას, ისე კონკრეტულ კვლევა-ძიებას. სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთმიმართების ზემოთ მოყვანილ ანალიზში, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, აბსტრაქტულ მომენტებს გამოვყოფდით. მეცნიერული აბსტრაქცია, როგორც ცნობილია, დიდ როლს თამაშობს პოლიტეკონომიურ კვლევაში[14]. ამასთანავე, ყველა საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას, რომ „ყველაზე საიმედო, საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში, არის ის, რომ არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად“[15]. ამასვე უნდა ემყარებოდეს სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის დიალექტიკური ერთიანობის საკითხის კვლევაც.

დრო, როგორც მატერიის არსებობის ფორმა (ფილოსოფიის კატეგორია), არსებობდა ადამიანთა საზოგადოების წარმოშობამდე. საზოგადოების წარმოშობის შემდეგ (და შედეგად), დრო სოციალურ შინაარსს იძენს და რამდენადაც ადამიანი პირველყოვლისა მწარმოებლად გვევლინება, მის წარმოებასთან ერთად როგორც სამუშაო დროის, ისე მასთან ერთად არასამუშაო დროის კატეგორიები. აღნიშნულ საკითხებზე მკვლევარებს ერთიანი შეხედულება აქვთ. პრობლემატურია თავისუფალი დროის წარმოშობის საკითხი. ზოგიერთი ეკო-

---

[12] Маркс К., Энгельс Ф., Соч., т. 46, ч. II, с. 221.

[13] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959, გვ. 449—450

[14] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 4.

[15] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 556.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნომისტი[16] თვლის, რომ პირველყოფილ ადამიანს თავისუფალი დრო სრულებით არ გააჩნდა. ვფიქრობთ, რომ თავისუფალი დროის არარსებობის ასეთი კატეგორიული მტკიცება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ კ. მარქსი „კაპიტალის“ პირველ ტომში სავსებით გარკვეულად ლაპარაკობს პირველყოფილი საზოგადოების წევრთა თავისუფალ დროზე. იგი მიუთითებს აზიის არქიპელაგის აღმოსავლეთის კუნძულების მცხოვრებლებზე, რომლებიც გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ და დასძენს: ვთქვათ ამ „მცხოვრებს ყველა თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კვირაში 12 საათი სჭირდება. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მას უშუალოდ მხოლოდ ერთ რამეს ანიჭებენ — მეტ თავისუფალ დროს. იმისათვის, რომ ეს თავისუფალი დრო თავის მწარმოებლურად მოიხმაროს, საჭიროა მთელი რიგი ისტორიული პირობები. ხოლო იმისათვის, რომ მან იგი ზედმეტი შრომის სახით სხვებისათვის დახარჯოს, საჭიროა იძულება გარედან“[17]. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველყოფილ ადამიანებს ბუნებრივ-ფიზიოლოგიურ საფუძველზე უჩნდებათ სამუშაო დროისა და ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი დროის გარდა დრო, რომელიც გარკვეული აზრით თავისუფალ დროდ შეიძლება ჩაითვალოს. როგორია აქ სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთმიმართება? ჯერ ერთი, ისინი მკვეთრად არ არიან გამიჯნული ერთიმეორისაგან, და მეორე — ხდება არა მათი ურთიერთგადასვლა, არამედ მხოლოდ მონაცვლეობა.

მკვეთრი გამიჯვნა სამუშაო დროსა და თავისუფალ დროს შორის არის მწარმოებლური ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების შედეგი და როცა იგი გარკვეულ სახეს იღებს საქმე გვაქვს სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ანტაგონისტურ დაპირისპირებასთან (მონათმფლობელური საზოგადოება). ამ დაპირისპირების საფუძველს წარმოადგენს დაპირისპირება თვით სამუშაო დროის შიგნით აუცილებელ და ზედმეტ შრომას შორის. „მონური შრომის დროს სამუშაო დღის ის ნაწილიც კი, რომლის განმავლობაშიც მონა მხოლოდ თავის საკუთარ საარსებო საშუალებათა ღირებულებას ანაზღაურებს, რომლის განმავლობაშიც იგი, მაშასადამე, თავისი საკუთარი თავისთვის მუშაობს, გვევლინება როგორც პატრონისათვის გაწეული შრომა“[18] — აღნიშნავს კ. მარქსი. მონათა კლასის ხვედრი მხოლოდ სამუშაო დროა. თავისუფალი დრო მონათმფლობელთა კლასის მონოპოლიაა. აღნიშნული მდგომარეობა ასახვას პოულობს ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა შეხედულებაში. „მონა უნდა მუშაობდეს და იძინებდეს“ — ამბობს სენეკა. „ არ არსებობს მოცალეობა მონისათვის“ ქადაგებს ძველი ბერძნული აფორიზმი. მონათმფლობელთა კლასი მონოპოლიას თავისუფალ დროზე, რა თქმა უნდა, თავისი ინტერესების შესაბამისად იყენებს—ანვითარებს კლასობრივ ხელოვნებას და კულტურას, განათლებას. მონები კი ყოველივე ამას მოკლებულნი არიან[19]. მონათმფლობელთა კლასის იდეოლოგი მ. ციცერონი თავის

[16] Козлов С. Д. Свободное время как социально-экономическая категория. Горький, 1972 с. 22; Казбеков М. Г. Свободное время в системе экономических категорий. Дис. на соискание учен. степени канд. эконом. наук, М., 1979, с. 10.

[17] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 649.

[18] იქვე, გვ. 679.

[19] სწორედ აქედან იღებს სათავეს, ჩვენი აზრით, განათლების კლასობრივი ხასიათი, რომელიც ნიშანდობლივია ყველა შემდგომი ექსპლოატატორული წყობილებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თხზულებაში „კანონების შესახებ“ წერს: „როდესაც მაქვს თავისუფალი დრო მისი უსარგებლოდ დაკარგვის ნებას ჩემს თავს არ ვაძლევ . . . მცირეოდენ თავისუფალ დროს შემიძლია ვიცხოვრო სოფელში. . . სადაც ვმეცადინეობ ჩემს თხზულებებზე. ხოლო, რაც შეეხება ისტორიას, მას შეიძლება ხელი მოვკიდო მხოლოდ მაშინ, როდესაც უზრუნველყოფილი მექნება მოცალეობა[20]. მიუხედავად იმისა, რომ მონათმფლობელურ საზოგადოებაში, გაბატონებული კლასის თავისუფალი დრო ექსპლოატირებული კლასის მთელი სიცოცხლის სამუშაო დროდ გადაქცევის ხარჯზე იქმნება, თავისუფალი დროის ასეთი კონცენტრაცია, მაინც გარკვეულ პროგრესულ როლს თამაშობს კაცობრიობის განვითარების პროცესში, რაც შესანიშნავად აქვს ახსნილი ფ. ენგელსს „ანტი-დიურინგში“[21].

თავისუფალი დრო, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ყალიბდება მხოლოდ მაშინ, როცა მწარმოებლური ძალების განვითარების შედეგად გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობების საფუძველზე აღმოცენდება მის განაწილებასთან და მითვისებასთან (გამოყენებასთან) დაკავშირებული ურთიერთობები ცალკეულ ინდივიდებს, სოციალურ ჯგუფებსა და კლასებს შორის. ეკონომიკური კატეგორია არის არა თავისუფალი დრო როგორც ასეთი დრო, არამედ მისი განაწილების და მითვისება-გამოყენების საზოგადოებრივი ფორმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ თავისუფალი დრო თუმცა პირველყოფილ საზოგადოებაშიაც ჰქონდა ადამიანებს, მაგრამ ისტორიულად ეკონომიკურ კატეგორიად იგი მონათმფლობელურ საზოგადოებაში გვევლინება.

იმ გადაუჭრელ ანტაგონიზმთა შორის, რომელმაც მონათმფლობელობა დაშალა, იყო ანტაგონიზმი სამუშაო დროსა და თავისუფალ დროს შორის

ფეოდალიზმი მონათმფლობელობის მსგავსად ექსპლოატატორული ბუნებისაა, მაგრამ იგი ამასთანავე მონათმფლობელობასთან შედარებით პროგრესულია. პროგრესულობის კრიტერიუმს, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება წარმოადგენს[22]. მწარმოებლურ ძალთა განვითარების შედარებით მაღალი დონე და გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი, განაპირობებს უშუალო მწარმოებლისათვის (ყმა გლეხისათვის) თავისუფალი დროის გამოყოფას და ამით იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მონისაგან, რომელსაც სრულებით არ ჰქონდა თავისუფალი დრო (ისე როგორც მას არ ეკუთვნოდა საკუთარი მუშაძალა). შუა საუკუნეების მრავალრიცხოვანი რელიგიური დღესასწაულები და რიტუალები როგორც ფეოდალების, ისე ყმა გლეხების თავისუფალი დროის რეალიზაციის ძირითად სფეროს წარმოადგენდა. თავისუფალი დრო, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ფეოდალურ საზოგადოებაში გამოხატავს ურთიერთობას უშუალო მწარმოებელთა კლასსა და წარმოების ძირითადი საშუალების მესაკუთრე კლასს შორის, დაკავშირებულს თავისუფალი დროის განაწილებასა და გამოყენებასთან, რასაც საფუძვლად უდევს პირველის მიერ ზედმეტი პროდუქტის წარმოება და მეორის მიერ მისი მითვისება. აშკარა ანტაგონიზმი უშუალო

---

[20] ციტატი მოგვყავს აკად. პ. გუგუშვილის წიგნიდან „სოციოლოგიური ეტიუდები,“ თბ., 1971, გვ. 60.

[21] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, თბ., 1954. გვ. 77.

[22] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 499.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწარმოებლის სამუშაო დროში აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროს (შრომას) შორის, სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ანტაგონიზმის საფუძველია. უშუალო მწარმოებელთა შრომის საფუძველზე შექმნილი თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს გაბატონებული კლასი ითვისებს.

კაპიტალისტური წარმოების განმსაზღვრელ მიზანს და მამოძრავებელ მოტივს ზედმეტი ღირებულების წარმოება შეადგენს. ამ ფორმაციის განვითარების ისტორიულ პროცესში აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოებას შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება ცვლის. პირველი დამახასიათებელი იყო კაპიტალიზმის განვითარების საწყისი სტადიისათვის. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტს, როგორც გაპიროვნებულ კაპიტალს, თავისი შეხედულება აქვს სამუშაო დღის საზღვრებზე, იგი თავისთავად ნაგულისხმებ ფაქტად თვლის იმას, რომ „მუშა სხვა არაფერია, თუ არა სამუშაო ძალა", „ამიტომ, მთელ მის განკარგულებაში არსებული დრო ბუნებისა და უფლების მიხედვით სამუშაო დროა, და, მაშასადამე, კაპიტალის თვითზრდის პროცესს ეკუთვნის"[23]. კაპიტალის დაუოკებელი სწრაფვა თვითზრდისადმი განაპირობებს მის მიერ არა მარტო მუშის თავისუფალი დროის, არამედ იმ დროის მიტაცებასაც, „რომელიც აუცილებელია სხეულის ზრდის, განვითარებისა და ჯანმრთელად შენახვისათვის"[24]. დრო არის ადამიანის განვითარებისათვის აუცილებელი სივრცე. ამ სივრცეში შეჭრით და მისი დიდი ნაწილის მიტაცებით კაპიტალი იტაცებს მუშის „განვითარებისა და მოქმედების ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ პირობებს. იგი იწვევს სამუშაო ძალის ნაადრევ გამოფიტვას და მოსპობას"[25].

კ. მარქსი „კაპიტალის" პირველ ტომში წერს, რომ კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე მუშები კაპიტალისტურ საწარმოებში 16—18 საათს მუშაობდნენ და მათ სრულებით არ გააჩნდათ თავისუფალი დრო. კაპიტალისტურმა წარმოებამ მუშას წაართვა ის დროც, რომელსაც იგი წინათ ფლობდა როგორც ხელოსანი, როცა შუასაუკუნეობრივი რელიგიური დოგმებითა და ტრადიციებით აკრძალული იყო კვირაობით და მრავალრიცხოვან უქმე დღეებში მუშაობა[26].

კაპიტალიზმის განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპზე აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოებას შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება ცვლის და ამ უკანასკნელისათვის „სრულიად არ არის საკმარისი, რომ კაპიტალი დაეუფლოს შრომის პროცესს მისი ისტორიულად გადმონაცემი ანუ არსებული ფორმით და მხოლოდ გაადიდოს მისი ხანგრძლივობა. კაპიტალმა უნდა მოახდინოს გადატრიალება შრომის პროცესის ტექნიკურ და საზოგადოებრივ პირობებში, მაშასადამე, თვით წარმოების წესში"[27]. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების აუცილებლობა ახლებურად აყენებს უშუალო მწარმოებლის თავისუფალი დროის სიდიდისა და სამუშაო დროსთან მისი მიმართების საკითხს. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება გულისხმობს შრომის ნაყოფიერებისა და ინტენსივობის გადიდებას. პირვე-

---

[23] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 335.

[24] იქვე, გვ. 336.

[25] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 336.

[26] სავსებით სარწმუნოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კვალიფიციურ მუშას ისეთივე სიდიდის წლიური თავისუფალი დრო აქვს, როგორიც ხელოსანს ჰქონდა XIII საუკუნეში. იხ. И. С. Кон, Социология личности. М., 1967, с. 229.

[27] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 399—400.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი განაპირობებს უშუალო მწარმოებლისათვის თავისუფალი დროის გადიდების შესაძლებლობას, მეორე კი—მის აუცილებლობას.

წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძველში მომხდარი ღრმა ცვლილებები იწვევს მუშის ფუნქციების შეცვლას წარმოების პროცესში, იგი უკვე აღარ წარმოადგენს წარმოების ტექნოლოგიური პროცესის უშუალო მონაწილეს, არამედ „მის გვერდით დგება", ასრულებს „მაკონტროლებელ" და „მარეგულირებელ" ფუნქციებს[28]. მაშასადამე, თვით წარმოების პროცესის განვითარების ლოგიკა კარნახობს მუშაკის ინტელექტუალური განვითარების (და თავისუფალი დროის, როგორც ასეთი განვითარების აუცილებელი პირობის შექმნის) აუცილებლობას. წარმოების პროცესის ცვლილება (განვითარება) განაპირობებს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობას. მაღალი კვალიფიკაციის თანამედროვე გაგება კი, ღრმა პროფესიულ ცოდნასთან ერთად, საერთო (ზოგადი) განათლების მაღალ დონეს გულისხმობს[29]. ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი პირობაა თავისუფალი დრო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კაპიტალი თავისი ნებისაგან დამოუკიდებლად გამოდის უშუალო მწარმოებელთათვის თავისუფალი დროის შემქმნელ იარაღად. ამასთანავე, მისი მუდმივი ტენდენცია მდგომარეობს როგორც თავისუფალი დროის შექმნაში, ისე ამ თავისუფალი დროის გადაქცევაში ზედმეტ შრომად[30]. კ. მარქსი „კაპიტალის" თავდაპირველ ვარიანტში (1857—1858 წლების ეკონომიკური ხელნაწერები) მიუთითებს ამ პროცესზე, მაგრამ მის მექანიზმს არ განიხილავს. ვფიქრობთ, რომ თავისუფალი დროის ზედმეტ შრომად უკუგადაქცევას საფუძვლად უდევს ფასწარმოქმნის მექანიზმი, რაც შემდეგნაირად მოქმედებს: კაპიტალიზმის პირობებში არსებობს მუშახელის ღირებულებაზე უფრო დაბლა ანაზღაურების მუდმივი ტენდენცია. ღირებულების კანონის მოქმედების ამგვარად დარღვევას ინფლაციური პროცესები განაპირობებენ. ფასების განუწყვეტელი ზრდის კვალობაზე მცირდება რეალური ხელფასი და ასეთ პირობებში მუშამ ცხოვრების უკვე მიღწეული დონე რომ შეინარჩუნოს, დამატებითი საათები უნდა იმუშაოს. ამგვარად, გარკვეულ პირობებსა და ფარგლებში მუშა თავის თავისუფალ დროს ანაცვალებს დამატებით შემოსავალს[31].

სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ანტაგონისტური დაპირისპირების ისტორია, ეს თვით კაპიტალიზმის განვითარების ისტორიაა. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ „ნორმალური სამუშაო დღის დამყარება შედეგია ხანგრძლივი, ცოტად თუ ბევრად ფარული სამოქალაქო ომისა კაპიტალისტთა კლასსა და მუშთა კლასს შორის"[32]. ამ ბრძოლაში ბურჟუაზიის იდეოლოგები[33] გამო-

---

[28] Маркс К. Энгельс Ф. Соч., т. 46, ч. II, с. 214.

[29] კ. მარქსის დროინდელი ინგლისის მრეწველობის ნებისმიერ დარგში მუშას თავისი ფუნქციების შესასრულებლად სავსებით ყოფნიდა ორი კლასის განათლება. ამჟამად, როგორც ინგლისში, ისე სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მრეწველობის მუშაკთა უდიდეს ნაწილს აქვს საშუალო განათლება, ხოლო გარკვეულ ნაწილს—უმაღლესი განათლებაც კი.

[30] Маркс К. Энгельс Ф. Соч., т. 46, ч. II, с. 217.

[31] ეს მომენტი განსაკუთრებით კარგადაა განხილული წიგნში Косолапов Р. И. «Социализм: к вопросам теории», М., 1979, с. 122—124.

[32] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 378.

[33] ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, ნასაუ ვ. სენიორის „უკანასკნელი საათის" თეორიის გამანადგურებელი კრიტიკა კ. მარქსს ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიოდნენ და გამოდიან მესაკუთრეთა კლასის ინტერესების დამცველად. ისინი ცდილობენ თეორიულად „დაასაბუთონ“ სამუშაო დროის უზომო გაგრძელების აუცილებლობა მუშათა თავისუფალი დროის უზურპაციის ხარჯზე.

პროგრესული მოაზროვნეები კი ყოველთვის გამოდიოდნენ მუშათა კლასის ინტერესების დამცველად[34]. კ. მარქსი წერდა, რომ სამუშაო დღის 8 საათამდე შემცირება არის წინასწარი პირობა, რომლის გარეშეც მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების ყოველგვარი მცდელობა ჩასაფუშადაა განწირული[35]. მისივე ინიციატივით პირველი ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა (1866) მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა კანონმდებლობით ყველა მუშისათვის სამუშაო დროის 8 საათამდე შემცირებას.

„სოციალ-დემოკრატიას 8 საათიანი სამუშაო დღის დაუყოვნებლივ შემოღება არა თუ კანონიერად, არამედ აუცილებლადაც მიაჩნია“[36] — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება საფუძველს აცლის ანტაგონისტურ წინააღმდეგობას აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროს შორის. ასოცირებული თანასწორუფლებიანი მწარმოებლები თვითონ ითვისებენ მათ მიერვე შექმნილ აუცილებელ და ზედმეტ პროდუქტს (სამუშაო დროს). აღნიშნულ საფუძველზე ისპობა სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ანტაგონიზმი — თავისუფალი დრო იმის კუთვნილებად იქცევა, ვისაც სამუშაო დრო ეკუთვნის.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება განაპირობებს შრომის საყოველთაობას და „საზოგადოებრივი სამუშაო დღის ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია მატერიალური წარმოებისათვის მით უფრო მოკლეა, მაშასადამე ის დრო, რომელიც მოპოვებულია ინდივიდთა თავისუფალი, გონებრივი და საზოგადოებრივი მოქმედებისათვის, მით უფრო დიდია, რაც უფრო თანაბრად განაწილებულია შრომა საზოგადოების ყველა ქმედუნარიან წევრთა შორის“[37]. შრომის საყოველთაობა განსაზღვრავს თავისუფალი დროის საყოველთაობას, როგორც მისი შექმნის, განაწილებისა და გამოყენების სპეციფიკურ საზოგადოებრივ ფორმას. თავისუფალი დრო, როგორც სოციალიზმის ეკონომიკური კატეგორია, მშრომელთა შორის ურთიერთდახმარების, თანასწორობისა და კოლექტივიზმის ურთიერთობის გამომხატველია.

სოციალისტურ საზოგადოებაში სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის სოციალურ-ეკონომიკურ ერთიანობას განაპირობებს ის, რომ ა) ორივე ემყარება ერთიან ეკონომიკურ საფუძველს — წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას; ბ) ისინი ხასიათდებიან შექმნის, განაწილებისა და გამოყენების ერთტიპიური საზოგადოებრივი ფორმით — საყოველთაობით; გ) ექვემდებარებიან ერთ მიზანს — მშრომელთა ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას.

ანტაგონისტური წინააღმდეგობის მოსპობა სამუშაო დროსა და თავი-

---

[34] „როდესაც რობერტ ოუენმა ამ საუკუნის მეორე ათეული წლის დამლევს სამუშაო დღის შეზღუდვის აუცილებლობას არა მარტო თეორიულად დაუჭირა მხარი, არამედ პრაქტიკულადაც ათი საათის სამუშაო დღე ნამდვილად შემოიღო კიდეც თავის ფაბრიკაში — ლენარკში, ამ ცდას დასცინოდნენ როგორც კომუნისტურ უტოპიას“, — აღნიშნავს კ. მარქსი (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 379).

[35] Маркс К. Энгельс Ф. Соч., т. 16, с. 199.

[36] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 135.

[37] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 667.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სუფალ დროს შორის არ ნიშნავს მათ შორის ყოველგვარი წინააღმდეგობის მოსპობას. აღნიშნული წინააღმდეგობა სოციალიზმის დროსაც არსებობს და იგი თვით შრომის შიგნით არსებული წინააღმდეგობების გამოხატულებაა. სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის წინააღმდეგობა გარკვეული ზომით ასახავს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დიალექტიკას სოციალისტურ საზოგადოებაში: სამუშაო დრო მყარდება ცენტრალიზებული წესით და გამოიყენება გეგმაზომიერად. თავისუფალი დროის შექმნის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში ჯერ კიდევ ჭარბადაა სტიქიურობის ელემენტები, რასაც გარკვეულ წინააღმდეგობებამდე მივყავართ. სოციალიზმის ბუნება, როგორც აღვნიშნეთ, გამორიცხავს სამუშაო დროსა და თავისუფალი დროის ანტაგონისტურ დაპირისპირებას, ამასთან ერთად, მისი, როგორც კომუნისტური ფორმაციის დაბალი ფაზის არასაკმარისი სიმწიფიდან გამომდინარეობს მათ შორის გარკვეული სოციალური წინააღმდეგობის არსებობა, რომელიც თანდათან გაქრება განვითარებული სოციალიზმის სრულ კომუნიზმში გადაზრდის კვალობაზე. რაც შეეხება არაარსებით განსხვავებას (არასოციალურ წინააღმდეგობას) სამუშაო დროსა და თავისუფალ დროს შორის, იგი შენარჩუნებული იქნება სრული კომუნიზმის დროსაც.

და ბოლოს, ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე გავაკეთებთ რამდენიმე დასკვნას.

1. თავისუფალი დროსა და სამუშაო დროის ერთიანობა განხილული უნდა იქნეს ისტორიულ და ლოგიკურ ასპექტში.

2. პირველყოფილ საზოგადოებაში სამუშაო დრო და თავისუფალი დრო შეადგენს განსხვავებულთა ერთიანობას, რაც მათ შორის არასოციალურ წინააღმდეგობას გულისხმობს.

3. ანტაგონისტურ ფორმაციებში სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ერთიანობაში მათ შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობაა წამყვანი მომენტი.

4. სოციალისტურ საზოგადოებაში ანტაგონიზმი ისპობა, მაგრამ რჩება სამუშაო დროსა და თავისუფალ დროს შორის არსებითი განსხვავება, რაც გულისხმობს გარკვეულ სოციალურ წინააღმდეგობას.

5. კომუნისტურ საზოგადოებაში ადგილი აქვს სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთშერწყმას, სოციალური წინააღმდეგობა ქრება, ხოლო არასოციალური კი რჩება.

6. სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთზემოქმედება შეიძლება განხილული იქნეს სპირალური მოძრაობის სახით, რომლის საწყის წერტილს შრომის (სამუშაო დროის) ეკონომია წარმოადგენს. იგი ადიდებს თავისუფალ დროს და ეს უკანასკნელი წარმოადგენს რა უშუალო მწარმოებლის მრავალმხრივი განვითარების პირობას, ხელს უწყობს სამუშაო დროის შემდგომ ეკონომიას.

7. სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის ურთიერთზემოქმედება ობიექტური პროცესია, მაგრამ ობიექტურობა არ ნიშნავს სტიქიურობას. სოციალისტურ საზოგადოებაში სუბიექტური ფაქტორი აქტიურ როლს თამაშობს ობიექტური პროცესების განხორციელებაში.

8. ეს განაპირობებს აღნიშნული კატეგორიების დიალექტიკური ერთიანობის მეცნიერული კვლევის აუცილებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Э. Г. МЕКЗАБИШВИЛИ

# ДИАЛЕКТИЧЕСКОЕ ЕДИНСТВО РАБОЧЕГО И СВОБОДНОГО ВРЕМЕНИ


Резюме

Рабочее и свободное время находятся в причинно-следственной взаимосвязи и образуют диалектическое единство. Данное единство имеет свои количественные и качественные стороны.

Уменьшение рабочего времени увеличивает все внерабочее, в том числе свободное время. Однако соотношение между рабочим и свободным временем далеко не прямо пропорционально. Оно опосредствовано внутренней структурой несвободного внерабочего времени.

Качественная сторона единства рабочего и свободного времени имеет логические и исторические аспекты. Рабочее время является материальной основой свободного времени и определяет характер его использования. Свободное время оказывает обратное воздействие на рабочее.

В историческом аспекте взаимосвязь рабочего и свободного времени в различных общественно-экономических формациях проявляется поразному.

В классовых обществах антагонизм между ними является ведущим моментом. С уничтожением капиталистической собственности исчезает противоположность между рабочим и свободным временем, но противоречия (в том числе социально-экономического характера), остаются.

По мере перерастания социалистического общества в полный коммунизм постепенно происходит взаимопроникновение рабочего и свободного времени и стирание границы между ними.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის განყოფილებამ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



В. Ш. БУРДУЛИ, Е. В. КИРИКОВ, Н. Б. СОКОЛОВ

# ВОПРОСЫ ПОВЫШЕНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ОБЪЕДИНЕНИЙ

Роль производственных объединений как основного (первичного) звена промышленности все более возрастает. Только за годы девятой пятилетки удельный вес производственных объединений в выпуске промышленной продукции повысился в 2,5 раза. В десятой пятилетке производственные объединения давали свыше 45% всей продукции промышленности СССР.

В Грузинской ССР число производственных и научно-производственных объединений возросло с 89 в 1975 г. до 121 в 1980 г., число входящих в них производственных единиц — с 329 до 489, объем реализованной ими продукции в общем объеме промышленной продукции республики — с 25,4 до 41,1%, численность промышленно-производственного персонала — с 23,1 до 41,2%[1].

С 1979 г. в ГССР, как и по стране в целом, процесс создания новых производственных объединений замедлился, что объясняется рядом причин. Первая группа факторов замедления обусловлена исчерпанием резервов укрупнения производства в рамках ряда отдельных министерств, а пути создания межведомственных объединений на основе комплексного развития территориальных единиц (отдельных городов, промышленных узлов) практически не найдены. Вторая группа факторов замедления создания объединений обусловлена тем, что во многих случаях их образование не принесло ощутимого эффекта, а некоторые показатели эффективности по объединениям в ряде Министерств оказались ниже среднеотраслевых.

В масштабе СССР темп роста валовой продукции в целом по промышленным министерствам составил в 1978 г. по сравнению с 1977 г. 104,8%, по производственным объединениям — 104,2%, по производительности труда — 103,6 и 103,1%. Возможно, конечно, что определенное влияние на эти показатели оказали факторы, не связанные непосредственно с созданием объединений (структурные сдвиги, цены и др.). В ряде же министерств (Миннефтепроме, Мингазпроме, Минсельхозпроме, Минлеспроме СССР и др.) темпы роста производства и производительности труда в производственных объединениях оказались выше среднеотраслевых[2].

Принципиально важную роль в изложенном методе играет индекс «рекреационное занятие» (i). Этим индексом, с одной стороны, мы характеризуем оцениваемые рекреационные ресурсы (объект оценки), с другой — рекреационные потребности иностранных туристов (субъект оценки). Тем самым предоставляется возможность сопоставить потребности интуристов с ресурсами, удовлетворяющими эти потребности, и провести субъектно-дифференцированную оценку рекреационных ресурсов.

Указанный метод требует решения следующих задач:

— выявить рекреационные потребности иностранных туристов из разных стран (показатель $П_{ji}$);

— охарактеризовать рекреационные ресурсы Грузии, отдельных ее районов в целях дальнейшей оценки этих ресурсов с позиции интуристов из отдельных стран (показатель $О_{ki}$);

— провести субъектно- и территориально-дифференцированную оценку рекреационных ресурсов Грузии с позиции интуристов из отдельных стран ($ДЦ_{pi}$).

**Исследование рекреационных потребностей иностранных туристов в Грузии** явилось основной задачей социологического опроса, проведенного автором при содействии Управления по иностранному туризму при СМ ГССР. Опрос осуществлялся методом анкетирования интуристов в местах их пребывания по принципу районированной выборки. При этом обследованием было охвачено около трех тысяч иностранных туристов из стран, откуда в основном приезжают туристы в Грузию и в СССР в целом.

Рекреационные потребности интуристов выявлялись на основе анализа ответов на вопрос:

«Каковы мотивы Вашего приезда?»

Варианты ответов были определены следующим образом:

1. желание познакомиться с культурно-историческими и архитектурными памятниками;
2. желание познакомиться с национальными традициями;
3. желание познакомиться с современным творчеством республики;
4. желание познакомиться с народным хозяйством социалистической Грузии;
5. желание познакомиться с историей советской Грузии;
6. желание познакомиться с современной жизнью населения республики;
7. желание увидеть природные красоты Черноморского побережья;
8. желание увидеть природные красоты Кавказских гор;
9. желание увидеть памятники природы Грузии;
10. желание покупаться и позагорать на море.

В анкете содержался и «открытый» вопрос, который заполнялся интуристами редко. Это говорит о том, что указанные мотивы достаточно полно отражают разнообразие их рекреационных потребностей.

Количество отмеченных мотивов интуристами из каждой страны отдельно принималось за 100%. Далее высчитывалась процентная доля каждого мотива от общего числа мотивов, отмеченных интуристами из отдельных стран. Таким образом, выявлялся показатель $П_{ji}$.

Результаты исследования показали значительные различия в характере рекреационных потребностей иностранных туристов, которые они проявляют в отношении Грузии, как рекреационной территории. Так, например, если туристы из ГДР, ЧССР, ВНР, Финляндии пред-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



почитают оздоровительный вид отдыха — купание и загар на море, то у туристов из Болгарии, Италии, Югославии, Франции и ФРГ преобладают мотивы туристско-познавательного характера, и при этом весьма различные друг от друга. Туристы из Италии, Югославии и Франции особый интерес проявляют к культурно-историчским и архитектурным памятникам, к национальным традициям республики, а туристы из ФРГ — к природе Грузии. Повышенный интерес к современной жизни населения республики наблюдается у туристов из ФРГ и Франции. История советской Грузии больше всех интересует туристов из Болгарии, а современные достижения и характеристика народного хозяйства — туристов из Франции и т. д. На примере этих выводов уже можно судить о наличии значительного разнообразия рекреационных потребностей иностранных туристов, посещающих Грузию. Это указывает на необходимость субъектно-дифференцированного подхода к оценке рекреационных ресурсов иностранного туризма республики.

**Характеристика рекреационных ресурсов Грузии в целях их дальнейшей оценки с позиции интуристов из разных стран** должна быть проведена с учетом необходимости ее сопоставлния с рекреационными потребностями интуристов. Поэтому в основу классификации ресурсов были положены те рекреационные занятия, которые явились мотивами приезда иностранных туристов. В соответствии с ними были выделены, например, ресурсы, удовлетворяющие познавательные потребности в знакомстве с культурно-историческими и архитектурными памятниками, или ресурсы, удовлетворяющие потребности в пляжно-купальном занятии и т. д.

Далее следует провести оценку этих ресурсов, предварительно не учитывая разнообразия потребностей интуристов из отдельных стран. Каждый из видов ресурсов должен быть охарактеризован системой показателей или характеристик, позволяющих в дальнейшем использовать оценочные критерии. Однако, говоря о рекреационных ресурсах иностранного туризма, характерной чертой которых является высокое разнообразие субъекта деятельности, в качестве предварительного условия оценки является обобщенная, недифференцированная в соответствии с потребностями, оценка.

При этом предварительная оценка ресурсов оздоровительного отдыха и познавательного туризма осуществляется по разным принципам.

При оценке ресурсов оздоровительного отдыха, в основе которого лежит комплекс пляжно-купальных занятий, мы воспользовались уже разработанной методикой [Твердохлебов, Мироненко, 1981, с. 87; Ступина, 1979, с. 75; Воронов, 1981, с. 258 и др.].

Методы же оценки ресурсов для познавательного туризма разработаны явно недостаточно. Поэтому один из наиболее эффективных путей оценки является опрос экспертов. В качестве экспертов выступили организаторы иностранного туризма в Грузинской ССР.

В качестве территориальных единиц оценки были взяты административные районы республики. Это обусловлено тем, что пока не существует районирования рекреационных ресурсов территории Грузии. Имеющееся рекреационное районирование не может быть взято за основу, ибо в нем не учитывается территориальное расположение ресурсов познавательного туризма, которые составляют наиболее существенную часть ресурсов иностранного туризма. Поэтому мы берем административное деление Грузии, которое достаточно дробно для целей нашего исследования.

В результате была проведена оценка рекреационных ресурсов отдельных районов Грузии без учета разнообразия рекреационных по-

# Оценка рекреационных ресурсов районов Грузии для "иностранного туриста"




Рис. 1

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



требностей интуристов. Это лишь предварительный этап оценки, по которому выявляется показатель $О_{ki}$ (рис. 1).

Оцениваемые районы:

1. Адыгейский
2. Ахметский
3. Батумский
4. Боржомский
5. Гальский
6. Гардабанский
7. Горийский
8. Гудаутский
9. Гульрипшский
10. Гурджаанский
11. Джавский
12. Душетский
13. Зестафонский
14. Зугдидский
15. Казбегский
16. Карельский
17. Кварельский
18. Кобулетский
19. Лагодехский
20. Махарадзевский
21. Маяковский
22. Мцхетский
23. Очамчирский
24. Потийский
25. Сагареджойский
26. Самтредский
27. Сигнахский
28. Сухумский
29. Тбилисский
30. Телавский
31. Хашурский
32. Цаленджихский
33. Цхалтубо-Кутаисский
34. Цхинвальский
35. Чиатурский
36. Чохатаурский

Примечания:

1. Указаны только те районы, в которых расположены рекреационные ресурсы, используемые в настоящее время в иностранном туризме.
2. Данное районирование основывается на административном районировании республики, но не всегда совпадает с ним.

**Оценка рекреационных ресурсов с позиции иностранных туристов из разных стран** стала возможной в результате решения первых двух задач. Получив данные о характере рекреационных потребностей туристов из отдельных стран ($П_{ji}$) и ценности рекреационных ресурсов Грузии($О_{ki}$), мы можем получить оценку рекреационных ресурсов для иностранных туристов по формуле $Ц_{ki} = \sum^{i} (О_{ki} \times П_{ji})$.

Оценивая этим методом рекреационные ресурсы каждого района Грузии, мы получим субъектно- и территориально-дифференцированную оценку рекреационных ресурсов. Полученные результаты показаны на серии картосхем, которые приводим ниже.

Из сравнения картосхем можно выявить, что наибольшая вариация оценок отмечается в Кобулетском (18), Телавском (30) и Ахметском (2) районах, затем в Тбилисском (29), Цхалтубо-Кутаисском (33) и Гурджаанском (10) районах. Кобулетский район «высоко» и «выше среднего» оценивается для интуристов из Чехословакии, ГДР, Венгрии и Финляндии, а «средне» и «ниже среднего» для интуристов из Франции, ФРГ, Италии, Югославии и Болгарии. Иная картина наблюдается в оценке остальных, упомянутых выше районов, которые более высоко оцениваются туристами из Франции, ФРГ, Италии, Юго-

## ОЦЕНКА РЕКРЕАЦИОННЫХ РЕСУРСОВ РАЙОНОВ ГРУЗИИ ДЛЯ ИНОСТРАННЫХ ТУРИСТОВ

ГДР



ЧССР



ВНР



ეროვნული ბიბლიოთეკა



НРБ



СФРЮ



ФИНЛЯНДИИ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИТАЛИИ



ФРАНЦИИ



ФРГ



ეროვნული ბიბლიოთეკა



славии и Болгарии, чем туристами из ГДР, ЧССР, Венгрии. Наибольшая амплитуда оценок этих районов объясняется прежде всего тем, что в них превалируют либо ресурсы для пляжно-купального рекреационного занятия (Кобулетский район), либо для познавательного туризма.

**Условные обозначения к рис. 2**




Существенные различия в оценках наблюдаются и между туристами из тех стран, которые одинаково высоко ценят ресурсы для познавательного туризма в целом. Так, например, Телавский район «очень высоко» оценивается туристами из Франции, а туристами из ФРГ лишь «выше среднего». Это объясняется тем, что в этом районе

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



имеются ресурсы, удовлетворяющие познавательные интересы к культурно-историческим памятникам и национальным традициям Грузии, к которым больший интерес проявляют французы, чем немцы из ФРГ.

Выделим те районы, где сочетаются ценные ресурсы для пляжно-купального занятия и познавательного туризма. Различия в оценках этих районов не велики, но ценятся они по самым разным ресурсам (районы: Сухумский — 28, Батумский — 3, в меньшей степени Гудаутский — 8). Интуристы из одних стран ценят их из-за богатства ресурсов познавательного туризма (болгары, югославы, немцы из ФРГ, французы, итальянцы), интуристы из других стран — из-за ресурсов для пляжно-купального занятия (чехи, венгры, немцы из ГДР, финны).

Есть районы, которые оцениваются одинаково интуристами из всех стран (например: Самтредский — 26, Адигейский — 1). Это объясняется прежде всего тем, что в них мало рекреационных ресурсов, и всеми интуристами им дается «самая низкая» оценка.

Таким образом, оценки рекреационных ресурсов Грузии для интуристов, приехавших из разных стран, заметно должны отличаться друг от друга. Это говорит о важности субъектно- и территориально-дифференцированного подхода к оценке ресурсов для иностранного туризма.

Представлена отделом экономических проблем использования природных ресурсов и защиты окружающей среды Института экономики и права АН ГССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, № 3

რამაზ აბესაძე

# ელექტროენერგიის მოხმარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოს სსრ მრეწველობაში

თანამედროვე ეტაპზე — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პირობებში — ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ელექტროენერგიის გამოყენებას ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობანი, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ელექტროენერგიის გამოყენების, მათ შორის მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების დამუშავების აუცილებლობას.

ელექტრიფიკაცია წარმოადგენს ორმხრივ პროცესს. ერთის მხრივ, ეს არის ელექტროენერგიის წარმოება, ხოლო მეორე მხრივ კი, მოხმარება. ელექტრიფიკაციის ეს ორი მხარე განუყოფელია ერთმანეთისაგან. ამიტომ, ელექტრიფიკაციის ეკონომიკური პრობლემების შესწავლისას არ შეიძლება შემოვიზღუდოთ მხოლოდ ერთი მხარით.

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის უფრო მეტად შესწავლილია პირველი მხარე ამ საკითხისა, ე. ი. ელექტროენერგიის წარმოების ეკონომიკური პრობლემები, ვიდრე მეორე — ელექტროენერგიის მოხმარების ეკონომიკური პრობლემები. ეს აიხსნება ჯერ ერთი, იმით, რომ სახალხო მეურნეობაში ელექტროენერგიის გამოყენების პირველ საფეხურზე მეტი ყურადღება ეთმობოდა ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდას, ვინაიდან მისი გამომუშავება თავდაპირველად ძალიან მცირე იყო. ხოლო დღეს, როდესაც ელექტროენერგიის წარმოებამ გრანდიოზულ მასშტაბებს მიაღწია და დანახარჯები მის წარმოებაზე ძლიერ დიდია, ელექტროენერგიის მოხმარების ეკონომიკური პრობლემები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

ელექტროენერგიის მოხმარების ეკონომიკური პრობლემების არა საკმაო დონეზე დამუშავების მეორე მიზეზს წარმოადგენს თვით ამ საკითხის სირთულე. ამ საკითხების შესწავლისას, სახალხო მეურნეობის (ან სახალხო მეურნეობის ერთი დარგის) დონეზე მკვლევარმა დეტალურად უნდა შეისწავლოს მთელი სახალხო მეურნეობა, მისი თავისებურებანი, მისი ცალკეული წარმოებები, ტექნიკა და ტექნოლოგია. მაგრამ, ეს ცალკეული მკვლევარისათვის არა თუ ძნელი, არამედ შეუძლებელია. საქმე რთულდება იმითაც, რომ არ მოიპოვება მასალები ცალკეულ ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერგიის გამოყენებისა.

აქედან გამომდინარე, ამ სტატიის მიზანს წარმოადგენს ვაჩვენოთ საერთოდ სოციალისტურ მრეწველობაში ელექტროენერგიის დანერგვის პროცესი (კონკრეტულად საქართველოს სსრ მრეწველობაში და მის ცალკეულ დარგებში) და ამის საფუძველზე დავსახოთ მისი ეფექტიანი გამოყენების გზები. ამასთანავე, ჩვენ შევეხებით არა ცალკეული საწარმოებისა და უწყებების მიერ, ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე, ელექტროენერგიის ეფექტიანი გამოყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნების საკითხებს, არამედ ელექტროენერგიის გამოყენებისათვის ტექნიკური და ტექნოლოგიური ფუნდამენტის განვითარების საკითხებს. პირველი საკითხი, უპირველეს ყოვლისა, არის არა მეცნიერ-მკვლევარების, არამედ სამეურნეო ორგანოების შესწავლის ობიექტი.

საბჭოთა კავშირი დღეისათვის ფლობს განვითარებულ ენერგეტიკულ ბაზას და მძლავრ ენერგომრეწველობას. იგი ენერგეტიკის განვითარების მხრივ დგას პირველ ადგილზე ევროპაში, ხოლო მეორეზე — მსოფლიოში, წინ უსწრებს, რა ინგლისს, იაპონიას და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ერთად აღებულს (ცხრილი 1).

საბჭოთა კავშირში სახელმწიფო გეგმების საფუძველზე ხორციელდება ელექტროენერგეტიკის სტაბილური და ჩქარი ტემპებით განვითარება. 1980 წელს, საბჭოთა კავშირში ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 1295 მილიარდი კვტ-სთ ელექტროენერგია, რაც 635,1-ჯერ მეტია 1913 წლის, ხოლო 26,7-ჯერ მეტი 1940 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

თანამედროვე პირობებში არ შეიძლება დავასახელოთ საზოგადოებრივი წარმოების არც ერთი დარგი, არც ერთი წვრილი თუ მსხვილი წარმოება, სადაც არ გამოიყენებოდეს ელექტროენერგია. იზრდება იმ პროცესების მრავალფეროვნება, რომლებიც დაფუძნებულია ელექტროენერგიის გამოყენებაზე. გარდა ტრადიციული ძალური პროცესებისა და განათებისა, ელექტროენერგია ფართოდ გამოიყენება ტექნოლოგიური საჭიროებისათვის. წარმოიშვებიან სპეციალური ტექნოლოგიები, სადაც ლითონების დამუშავება დაფუძნებულია ელექტრომაგნიტური ენერგიის განსაკუთრებული ფორმების გამოყენებაზე.

ცხრილი 1

სსრ კავშირის და ზოგიერთი სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ენერგეტიკული მაჩვენებლები 1980 წ.[1]

| | სსრკ | აშშ | ინგლისი | გფრ | იაპონია | იტალია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ელექტროენერგიის წარმოება, მილიარდ კვტ-სთ | 1295 | 2476 | 283 | 255 | 357 | 620 | 173 |
| ელექტროენერგიის მოხმარება მრეწველობაში, მილიარდ კვტ-სთ | 773 | 895 | 129 | 120 | 185 | 335 | 101 |
| ნავთი (გაზის კონდენსატის ჩათვლით), მილიონი ტ. | 603 | 430 | 78,4 | 1,4 | 4,7 | 0,5 | 1,8 |
| ბუნებრივი გაზი, მილიარდი მ³ | 406 | 600 | 34,3 | 11,0 | 18,4 | 2,5 | 13,1 |
| ქვანახშირი, მილიონი ტ. | 653 | 784 | 128 | 20,7 | 224 | 17,9 | 1,9 |

ყველაზე დიდ მომხმარებელს ელექტროენერგიისა წარმოადგენს მრეწველობა. ელექტროენერგიის მოხმარება სსრკ მრეწველობაში ჩქარი ტემპებით იზრდება. უკანასკნელი 90 წლის მანძილზე ელექტროენერგიის მოხმარება სსრკ მრეწველობაში გაიზარდა 22-ჯერ და მეტად (ცხრილი 2), ხოლო 1913 წელთან

———

[1] Народное хозяйство СССР в 1980 г. М., „Статистика“, 1981, с. 68—69.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შედარებით, 1980 წლისათვის — 1483,1-ჯერ. ამ კოლოსალურ რაოდენობრივ ცვლილებას მივყავართ თვისობრივ ცვლილებებთან, როგორც ელექტროენერგიის მრეწველობაში გამოყენების, ისე მრეწველობის ტექნიკურ-ეკონომიკური ბაზის ცვლილების თვალსაზრისით.

ცხრილი 2

ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის ტემპები სსრკ მრეწველობაში[2]

| მოხმარება | 1913 წ. | 1940 წ. | 1970 წ. | 1975 წ. | 1980 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| მილიარდი კვტ-სთ | 1,6 | 34,8 | 488,4 | 656,8 | 773 |
| გაიზარდა რამდენჯერ... | 1 | 21,8 | 305,3 | 410,5 | 483,1 |

ელექტროენერგიის გამოჩენამდე მანქანები და მექანიზმები მოქმედებაში მოჰყავდათ ორთქლის, ჰიდრავლიკური ენერგიის, ქარის და კუნთის ძალის მეშვეობით.

თავდაპირველად, როცა ელექტროენერგია ძლიერ მცირე მასშტაბით იწარმოებოდა, იგი მხოლოდ გასანათებლად მოიხმარებოდა, შემდეგ კი მან გამოყენება ჰპოვა ძალურ პროცესებში. ძალურ პროცესებში ელექტროენერგიის გამოყენებამ თავისი განვითარების გზა განვლო. პირველად შექმნილი იქნა ჯგუფური ამძრავები, რომლიდანაც გამომდინარე მექანიკური ენერგია ნაწილდებოდა სამუშაო მანქანებში ტრანსმისიული გადაცემის მეშვეობით. ეს გრძელი გადამცემი ჯაჭვი ძრავასა და სამუშაო მექანიზმს შორის კარგავდა ელექტროენერგიის უპირატესობას. ამიტომ, განხორციელდა ელექტროძრავის უშუალო შეერთება ერთ, ან რამდენიმე მუშა მანქანასთან, რამაც ძირეული ცვლილებები შეიტანა საწარმოო პროცესებში.

თითოეულ მუშა მანქანაზე საკუთარი ელექტრო ძრავის დადგმით იქმნებოდა მუშაობის ყველაზე უფრო სასარგებლო პირობები. იგი ამარტივებს სამუშაო მექანიზმის მექანიკური ნაწილის კინემატიკას, ამცირებს უკუსვლის სიდიდეს, რასაც დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. შემდეგ წარმოიშვა მრავალძრავიანი ჩარხები და მანქანები, რომლებშიც დანაკარგები მექანიკურ ენერგიაზე დაყვანილ იქნა მინიმუმამდე, ხოლო აგრეგატის მწარმოებლურობა გაიზარდა.

მასიურ, ნაკადურ წარმოებაზე გადასვლამ გამოიწვია მაღალმწარმოებლური ერთოპერაციული ჩარხების წარმოშობა, ინდივიდუალური ელექტროძრავებით. შეიქმნა ისეთი მექანიზმები, სადაც ძრავა წარმოადგენდა მექანიზმის ნაწილს. მაგალითად, სამუშაო იარაღები: ელექტროხერხი, ელექტრობურღი, ელექტროსალაშინი და ა. შ.

ძალური პროცესების ელექტრიფიკაციამ და ელექტროძრავის მოხერხებულობამ უზრუნველყვეს მრეწველობის გადასვლა ავტომატიზებულ ჩარხებზე, ხოლო შემდეგ ავტომატიზებულ ნაკადურ ხაზებზე. ავტომატიზებულ ხაზებზე მუშაობს ელექტროძრავების დიდი რიცხვი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ელექტრული ლილვის მეშვეობით. ავტომატიზებული ნაკადუ-

[2] Народное хозяйство СССР в 1980 г. М., „Статистика", 1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რი ხაზების პრინციპი განხორციელებულია ლითონდამმუშავებელ, მეტალურგიულ, ქიმიურ, კვების და სხვა დარგებში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განუწყვეტელი განვითარება იწვევს ახალი წარმოებებისა და ტექნოლოგიური პროცესების წარმოშობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ელექტროენერგიის გამოყენების ცვლილებას. წარმოიშვა ისეთი პროცესები, სადაც ელექტროენერგია გამოიყენება უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებში.

ტექნოლოგიური პროცესების ელექტრიფიკაცია საშუალებას იძლევა ელექტროენერგია გამოყენებულ იქნეს ახალი მასალების მისაღებად, ან უკვე ძველის გასაუმჯობესებლად. ელექტროლიზის პროცესმა უზრუნველყო ალუმინის, სუფთა სპილენძის, ნიკელის, ტიტანის და მრავალი სხვა იშვიათი ლითონის ფართოდ წარმოება. შემუშავდა წარმოების სრულიად ახალი პროცესები: ელექტროშედუღება, გალვანოპლასტიკა, ელექტრონაპერწკლური დამუშავება და ა. შ.

ელექტროენერგიის გამოყენება იძლევა წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შესაძლებლობას.

ელექტროენერგიის იმ თვისებამ, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესში, შეცვალა მისი როლი წარმოების პროცესში.

ელექტროენერგია მექანიკურ პროცესებში უშუალოდ არ ეხება შრომის საგნებს, პირდაპირ არ ზემოქმედებს მათზე. ელექტრობის მონაწილეობა წარმოებაში აქ არაპირდაპირია და გამოიყენება, როგორც ენერგომატარებელი მექანიკური ენერგიის მისაღებად. ტექნოლოგიურ პროცესში ელექტროენერგია უშუალოდ ეხება შრომის საგნებს. ძალურ პროცესებში ელექტროენერგია ხელს უწყობს შრომის საგნის დამუშავებას, ხოლო ტექნოლოგიურ პროცესებში უშუალოდ ახდენს მის დამუშავებას.

შრომის საგნების მექანიკურ დამუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებში ელექტროენერგია იკავებს განვითარების ისეთ მაღალ საფეხურზე მყოფი შრომის იარაღის ადგილს, როგორიცაა საჭრისი. ესე იგი, ელექტროენერგია ერთდროულად გამოდის, როგორც ძალად, ისე შრომის საშუალებად.

დიდი გამოყენება ჰპოვა ელექტროენერგიამ ელექტროთერმულ და ელექტროქიმიურ პროცესებში.

ელექტროთერმული პროცესები ეს ის პროცესებია, რომლებსაც იყენებენ სხვადასხვა ლითონის გასახურებლად ან გასადნობად. ელექტროთერმულ პროცესებს აქვთ შემდეგი უპირატესობა: მთელი პროცესი იოლად რეგულირდება (ტემპერატურული რეჟიმი); უზრუნველყოფილია სითბოს თანაბარზომიერი განაწილება მთელს მოცულობაში; შეიძლება მცირე მოცულობაში სითბოს დიდი რაოდენობის კონცენტრაცია; პროცესები შეიძლება წარიმართოს როგორც ვაკუუმში, ისე დაცულ ფენაში; ელექტროფიცირებული აგრეგატები კონსტრუქციულად მარტივი და სანიტარულ-ჰიგიენურად სუფთაა. ელექტროღუმელი შეუცვლელია უჟანგავი, ცეცხლგამძლე, კონსტრუქციული და სხვა სახის სპეციალური ფოლადის მისაღებად. ელექტროღუმელი კონკურენციას უწევს მარტენის ღუმელს ჩვეულებრივი ფოლადის გამოდნობაშიც.

ელექტროენერგიის შედარებითი სიძვირის გამო, ელექტროთერმული პროცესები ჯერჯერობით გამოიყენება მხოლოდ ისეთ წარმოებაში, სადაც მოითხოვება: 1. ძლიერ მაღალი ტემპერატურა, რომელიც არ შეიძლება მივიღოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხვა პრაქტიკულად მისაწვდომი მეთოდებით; 2. გახურების თანაბარზომიერება; 3. გასახურებელი მასალის ან ნაკეთობის დაცვა მავნებელი ნივთიერებების მოქმედებისაგან.

ელექტროქიმიური პროცესები გამოიყენება ელექტრული დენის ქიმიური მოქმედებისათვის სამრეწველო წარმოებაში. ეს პროცესები უმთავრესად გამოიყენება ფერად მეტალურგიაში ალუმინის, მანგანუმის, სპილენძის, თუთიის, ნიკელის, კობალტის და სხვათა საწარმოებლად. ამასთანავე, ელექტროქიმიური პროცესები გამოიყენება, აგრეთვე ქლორის ტუტეების და ქიმიური მრეწველობის სხვა პროდუქტების მისაღებად. ელექტროქიმიურ პროცესებს აქვს სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ წარმოებაში.

მრეწველობის ყველა დარგში ფართოდ გამოიყენება ელექტროშედუღება. საშემდუღებლო სამუშაოების მიხედვით სსრ კავშირს უჭირავს პირველი ადგილი სხვა ქვეყნებთან შედარებით.

როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს სსრ სახალხო-მეურნეობაში ელექტროენერგიის ძირითად მომხმარებელს მრეწველობა წარმოადგენს (ცხრ. 3). ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ მრეწველობის ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობაში კლებულობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მრეწველობაში ელექტროენერგიის მოხმარების რაოდენობა მცირდება. პირიქით, 1960-1980 წლებში ელექტროენერგიის მოხმარება საქართველოს სსრ მრეწველობაში 3-ჯერ გაიზარდა.

ცხრილი 3

ელექტროენერგიის მოხმარება სსრკ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში 1960—1980 წლებში (პროცენტებში)[3]

| წლები | მრეწველობა | | სოფლის მეურნეობა | | ტრანსპორტი | | დანაკარგები ელექტრო ქსელში | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სსრკ | საქართველოს სსრ | სსრკ | საქართველოს სსრ | სსრკ | საქართველოს სსრ | სსრკ | საქართველოს სსრ |
| 1960 | 70,9 | 57,9 | 3,4 | 4,5 | 6,1 | 10,6 | 6,1 | 8,9 |
| 1965 | 69,1 | 54,1 | 4,1 | 5,8 | 7,3 | 7,5 | 6,9 | 14,6 |
| 1970 | 66,4 | 43,9 | 5,2 | 4,9 | 7,4 | 6,6 | 7,9 | 14,8 |
| 1975 | 63,2 | 52,3 | 7,2 | 5,7 | 7,2 | 6,7 | 8,0 | 16,0 |
| 1980 | 60,0 | 50,0 | 8,5 | 9,4 | 7,9 | 5,9 | 8,2 | 18,0 |

დღეისათვის საქართველოს სსრ მრეწველობაში ელექტროენერგია წარმატებით გამოიყენება, როგორც ძალურ, ისე ტექნოლოგიურ პროცესებში. მაგრამ ელექტროენერგიის გამოყენების დონე საქართველოს სსრ მრეწველობაში მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მისი გამოყენების დონისაგან სსრ კავშირის მრეწველობაში. ასე მაგალითად, ელექტროენერგიის მოხმარების დონე საქართველოს სსრ მრეწველობაში, როგორც ამას სახალხო მეურნეობის ელექტრობალანსი გვიჩვენებს, დაბალია ვიდრე სსრ კავშირის მრეწველობაში (შესაბამისად 50 და 60 პროცენტი). დაბალია ასევე მრეწველობაში ელექტრო-

[3] ცხრილი გაანგარიშებულია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების და სტატისტიკური კრებულის «Народное хозяйство СССР в 1980 г», М., 1981, с. 151—საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნერგიის მოხმარების ზრდის ტემპები ჩვენს რესპუბლიკაში, ვიდრე საბჭოთა კავშირში (1960-1980 წლებში გაიზარდა 3,7-ჯერ). გაცილებით დაბალია ელექტროშეიარაღების მაჩვენებელი საქართველოს სსრ მრეწველობაში, ვიდრე სსრკ მრეწველობაში. 1980 წელს ჩვენი რესპუბლიკის ერთი სამრეწველო მუშაკის ელექტროშეიარაღებამ სსრკ ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 79,8% შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის ელექტროტევადობა საბჭოთა კავშირში შეადგენს 1,31 კვტ-სთ, ხოლო რესპუბლიკაში — 0,93 კვტ-სთ, პროდუქციის ერთ მანეთზე, რაც არ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ელექტროენერგია ჩვენთან, გამოიყენება უფრო რაციონალურად, ვიდრე სსრ კავშირში მთლიანად. საქმე ისაა, რომ საქართველოს სსრ მრეწველობაში ჯერ კიდევ დიდია ხელით შრომის ხვედრითი წონა, ე. ი. დაბალია საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე, ჯერ კიდევ არასაკმაოდაა ათვისებული და დანერგილი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები. საქართველოს სსრ მრეწველობაში ხელით შრომის ხვედრითი წონა ჯერ კიდევ 55,3% შეადგენს. კიდევ უფრო დიდია იგი ცალკეულ დარგებში. მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში — 78,2%, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში — 59,3%, კვების მრეწველობაში — 64,5%.

განსაკუთრებით დაბალია მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე დამხმარე წარმოებაში. ხელით შრომის ხვედრითი წონა აქ შეადგენს 73,7%.

ელექტროენერგიის მოხმარების დაბალ დონეზე ასევე გავლენას ახდენს საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში დაბალია მძიმე მრეწველობის დარგთა ხვედრითი წონა. დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება გამოიწვევდა ელექტროენერგიის მოხმარების ზრდას, მაგრამ ეს პროცესები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ხანდახან ერთი გამორიცხავს მეორეს. მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში ვერ განხორციელდა მძიმე მრეწველობის ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ელექტროენერგიის მრეწველობაში მოხმარების შედარებით დაბალი დონე გამოწვეულია არა მხოლოდ პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერგიის დანერგვის ნელი ტემპებით, არამედ მისი უკმარისობითაც, მაშასადამე ელექტროენერგეტიკის, როგორც მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის არა საკმაო განვითარებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ ავამაღლოთ მრეწველობაში ელექტროენერგიის მოხმარების დონე, უნდა გაგვაჩნდეს შესაბამისი ოდენობის ელექტროენერგია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს განკარგულებაში არსებულ ელექტროენერგიასაც ვერ ვიყენებთ რაციონალურად.

მრეწველობაში ელექტროენერგიის მოხმარების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროენერგიის მოხმარების დარგობრივი სტრუქტურის შესწავლას, ელექტროენერგიის მოხმარების დარგობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს მრეწველობის ცალკეულ დარგთა შორის თანაფარდობას, როგორც მთლიანად, ისე ძალურ და ტექნოლოგიურ პროცესებში მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით.

საქართველოს სსრ მრეწველობაში მოხმარებული ელექტროენერგიის დარგობრივ სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წონით გამოირჩევა: შავი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლითონდამუშავება. ამ დარგების ხვედრითმა წონამ 1980 წელს 62,5% შეადგინა.

მრეწველობაში მოხმარებული ელექტროენერგიის დარგობრივ სტრუქტურაში დაბალი ხვედრითი წონით გამოირჩევა ფერადი მეტალურგია და ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობა. საერთოდ, 1980 წელს მძიმე მრეწველობის დარგების მიერ მოხმარებულ იქნა მრეწველობაში მთლიანად მოხმარებული ელექტროენერგიის 89,1%, ხოლო მსუბუქი მრეწველობის დარგების მიერ — 10,9%. ესოდენ დიდი განსხვავება მრეწველობის მძიმე და მსუბუქ დარგებს შორის მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით, ჩვენს პირობებში, მაშინ როდესაც მსუბუქი მრეწველობა უფრო განვითარებულია ვიდრე მძიმე, მაინც ბუნებრივია, რადგანაც მძიმე მრეწველობის თავისებურებებიდან გამომდინარე, აქ მოძრაობაში მოსაყვანია გაცილებით უფრო დიდი სიმძლავრეები, ვიდრე მსუბუქ მრეწველობაში. ასე მაგალითად, 1980 წელს მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეებს ემსახურებოდა 3812.2 ათასი კვტ ელექტრული სიმძლავრეები, საიდანაც 2339,0 კვტ, ანუ 84,9% მოდიოდა მძიმე მრეწველობის დარგებზე, ხოლო 570,5 ათასი კვტ, ანუ 15,1% — მსუბუქი მრეწველობის დარგებზე.

მრეწველობაში მოხმარებული ელექტროენერგიის დარგობრივ სტრუქტურაში მზარდი ხვედრითი წონით გამოირჩეოდა ისეთი დარგები როგორიცაა ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, რაც დადებით პროცესს წარმოადგენს. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების ხვედრითი წონა მაინც დაბალი რჩება. ეს აიხსნება ამ დარგის განუვითარებლობით (რაოდენობრივად) და მასში ხელით შრომის დიდი ხვედრითი წონის არსებობით.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ელექტროენერგიის მოხმარება შედარებით ჩქარი ტემპებით იზრდება ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში, კვების მრეწველობასა და ელექტროენერგეტიკაში. ბოლო წლებში მარნეულის გამამდიდრებელი კომბინატის მწყობრში შესვლის შემდეგ ჩქარა იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება ფერად მეტალურგიაში. შედარებით დაბალი ტემპებით მიმდინარეობს ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა სათბობის მრეწველობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში, რაც არასასურველია.

ელექტროენერგია მრეწველობაში გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის: 1. ძალურ პროცესებში; 2. ტექნოლოგიურ პროცესებში; 3. განათებაზე, ვენტილაციასა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

1980 წელს საქართველოს სსრ მრეწველობაში ტექნოლოგიური მიზნებისათვის მოხმარებულ იქნა მთელი გამოყენებული ელექტროენერგიის 31,9%, ხოლო ძალურ პროცესებზე — 52,2%. დანარჩენი 15,9% მოდის დანახარჯებზე განათებისათვის, ვენტილაციისათვის, ელექტროსადგურთა საკუთარი საჭიროებისათვის და დანაკარგებზე ელექტროქსელში.

როგორც ჩანს, ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი ტექნოლოგიურ პროცესებში გამოიყენება, მაგრამ ჩვენს მრეწველობაში ხელით შრომის ხვედრითი წონა მაღალი რომ ყოფილიყო, მეტი იქნებოდა ელექტროენერგიის მოხმარების ხვედრითი წონა ძალურ პროცესებში, ტექნოლოგიურ პროცესებში კი ნაკლები. ამით იმის თქმა გვსურს, რომ მოყვანილი პროცენტული მაჩვენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბელი არ გვიჩვენებს იმას, რომ საქართველოს სსრ მრეწველობაში საკმაოდაა დანერგილი ახალი, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები.

მრეწველობის თითქმის ყველა დარგში დიდი რაოდენობით გამოიყენება ელექტროენერგია ძალურ პროცესებზე. განსაკუთრებით გამოირჩევა ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. ამ დარგში ძალურ პროცესებზე გამოიყენება დარგის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის 85,5%. სათბობის მრეწველობაში ეს მაჩვენებელი შეადგენს 82,8%, ხე-ტყის, ხისდამამზადებელ და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში — 84,3%, საშენ მასალათა მრეწველობაში — 82,2%, შავ მეტალურგიაში — 29,4%, კვების მრეწველობაში — 64,3%, მსუბუქ მრეწველობაში — 69,3%.

ელექტროძრავამ სწრაფად გამოდევნა მრეწველობაში არსებული ყველა სხვა სახის ძრავა. ელექტრიფიკაციის კოეფიციენტმა (ელექტროძრავათა სიმძლავრის ფარდობა მთელ დადგმულ სიმძლავრესთან) საქართველოს სსრ მრეწველობაში 1980 წელს 93,9% შეადგინა, სათბობის მრეწველობაში — 96,1%, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში — 93,2%, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში — 98%, ხე-ტყის, ხისგადამმუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში — 97,9%, საშენ მასალათა მრეწველობაში — 92,9%, მსუბუქ მრეწველობაში — 98,7%, კვების მრეწველობაში — 97,1%. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ის პროცესები, რომლებშიც საერთოდ გამოიყენება მექანიზებული შრომა, თითქმის მთლიანად ელექტრიფიცირებულია. მაგრამ, ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში ბევრია ისეთი პროცესი, რომელიც საერთოდ არ არის მექანიზებული და ხელით ხორციელდება.

ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერგია დიდი რაოდენობით გამოიყენება შავ მეტალურგიაში. 1980 წელს ტექნოლოგიური საჭიროებისათვის გამოიყენებოდა დარგის მიერ მთლიანად მოხმარებული ელექტროენერგიის 61,1%, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში ეს მაჩვენებელი 47,8% ტოლია. მძიმე მრეწველობის დანარჩენ დარგებში ელექტროენერგიის მოხმარების ხვედრითი წონა ტექნოლოგიურ საჭიროებაზე მცირეა. მსუბუქი მრეწველობის დარგებში, განსაკუთრებით კვების მრეწველობაში, ელექტროენერგია შედარებით წარმატებით გამოიყენება. 1980 წელს ტექნოლოგიური საჭიროებისათვის ელექტროენერგიის გამოყენებამ კვების მრეწველობაში 26,4, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში 16,5% შეადგინა.

თუ განვიხილავთ ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერგიის მოხმარების დარგობრივ სტრუქტურას, აქ დიდი ხვედრითი წონით შავი მეტალურგია გამოირჩევა. 1980 წელს ამ დარგის მიერ გამოიყენებოდა მთელს მრეწველობაში ტექნოლოგიური საჭიროებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის 69,4%. ეს აიხსნება ჯერ ერთი, თვით ამ დარგის თავისებურებით, მეორეც იმით, რომ ელექტროენერგია არა საკმაო დონით გამოიყენება სხვა დარგების მიერ ტექნოლოგიური მიზნებისათვის. მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების ხვედრითი წონა აღნიშნულ სტრუქტურაში შეადგენს 15,4%. კვების მრეწველობის — 7,9%, საშენმასალათა მრეწველობის — 3,3%, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის — 2,0%, მსუბუქი მრეწველობის — 2,6%. მაშასადამე, ძირითად დარგებს, რომლებიც ელექტროენერგიას დიდი რაოდენობით გამოიყენებენ ტექნოლოგიური საჭიროებისათვის, წარმოადგენს შავი მეტალურგია და მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, მათი ხვედრითი

ეროვნული ბიბლიოთეკა



წონა მრეწველობაში ტექნოლოგიური მიზნებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის დარგობრივ სტრუქტურაში 1980 წ. 84,8% ტოლი იყო.

მრეწველობაში ძალურ პროცესებზე ელექტროენერგიის მოხმარების დარგობრივ სტრუქტურაში ქიმიურმა და ნავთობქიმიურმა მრეწველობამ შეადგინა 27,9%, შავმა მეტალურგიამ — 20,2%, საშენ მასალთა მრეწველობამ — 12,2%, მანქანათმშენებლობამ და ლითონდამუშავებამ — 9,0%, კვების მრეწველობამ — 7,2%, მსუბუქმა მრეწველობამ — 6,8%, სათბობის მრეწველობამ — 4,7%, ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობამ — 4,4%. როგორც ჩანს, ძალურ პროცესებზე ელექტროენერგიის ძირითად მომხმარებლებს წარმოადგენენ ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია და საშენ მასალათა მრეწველობა. 1980 წელს მათმა ხვედრითმა წონამ აღნიშნულ სტრუქტურაში 60,3% შეადგინა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ელექტროენერგიის მოხმარების შიდადარგობრივი სტრუქტურის შესწავლას.

შავ მეტალურგიაში ელექტროენერგიის მოხმარების დიდი ხვედრითი წონით გამოირჩევა ელექტროფეროშენადნობთა წარმოება. 1980 წელს ამ ქვედარგის მიერ მოიხმარებოდა მთლიანად დარგში მოხმარებული ელექტროენერგიის 66,5%. საერთოდ მრეწველობაში ყველაზე მსხვილ მომხმარებელს ელექტროენერგიისა სწორედ ეს ქვედარგი წარმოადგენს. მხოლოდ ამ ქვედარგში მოიხმარება მთელს მრეწველობაში მოხმარებული ელექტროენერგიის 24,2%. ეს იმიტომ, რომ აქ ელექტროენერგია წარმატებით გამოიყენება უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებში. მეორე მსხვილ მომხმარებელს ელექტროენერგიისა, როგორც შავ მეტალურგიაში, ისე მთელს მრეწველობაში წარმოადგენს შავი ლითონების წარმოება. ამ ქვედარგის ხვედრითი წონა დარგში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობაში ტოლია 24,5%, ხოლო მრეწველობაში — 8%.

მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში ელექტროენერგიის მოხმარების დიდი ხვედრითი წონით გამოირჩევა საავტომობილო მრეწველობა (26,8%), ელექტროტექნიკური მრეწველობა (11,8%) და ნამზადების წარმოება (9,1%). საავტომობილო მრეწველობა ამავე დროს არის მთელს მრეწველობაში ელექტროენერგიის ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებელი, მის წილზე მოდის მრეწველობაში მოხმარებული ელექტროენერგიის 2,5%.

მანქანათმშენებლობის ისეთ პროგრესულ დარგებზე, როგორიცაა ჩარხმშენებლობა, ინსტრუმენტალური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა მოდის ელექტროენერგიის მცირე ნაწილი (სულ 4,1% და 1,9%), რაც ამ დარგების დაბალ განვითარებაზე მიუთითებს.

ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში ელექტროენერგიის მოხმარების დიდი ხვედრთი წონით გამოირჩევა ძირითადი ქიმია (82,5%) და ქიმიური ბოჭკოების წარმოება (11,4%). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრეწველობის მხოლოდ 5 ქვედარგი: ელექტროშენადნობთა წარმოება, შავი ლითონების წარმოება, საავტომობილო მრეწველობა, ძირითადი ქიმია და ქიმიური ბოჭკოების წარმოება მოიხმარენ მთელ მრეწველობაში მოხმარებული ელექტროენერგიის ნახევარზე მეტს.

სათბობის მრეწველობაში ელექტროენერგიის დიდ რაოდენობას მოიხმარს ქვანახშირის მრეწველობა (56,4%) და ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობაში — ცემენტის წარმოება (44,7%) და ასაწყობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინაბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციები (24,8%), ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში — ცელულოზა-ქაღალდის წარმოება (52,3%) და ხისდამამუშავებელი მრეწველობა (42,2%), კვების მრეწველობაში — ჩაის (24,5%), პურის საცხობი (18,4%), ხორცისა და რძის მრეწველობა (12,3%).

მიუხედავად მიღწევებისა საქართველოს სსრ მრეწველობის ელექტრიფიკაციის საქმეში, ელექტროენერგიის დანერგვა საწარმოო პროცესებში მიმდინარეობდა საკმაოდ ნელი ტემპებით. საქართველოს სსრ მრეწველობაში დიდი ხვედრითი წონა უკავია ხელით შრომას. ძირითად წარმოებაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი პროცესები, რომლებიც არ არის მექანიზებული და სრულდება ხელით. მანქანათმშენებლობაში ექსპლუატაციაშია ისეთი საწარმოები, სადაც პროდუქციის დამზადება კუსტარულად ხორციელდება.

ხელით შრომის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ ამ შრომის ელექტრიფიკაციის საფუძველზე, როგორც ძირითად ისე დამხმარე წარმოებებში. ძირითად წარმოებებში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ელექტრომოწყობილობების დანერგვა, დამხმარე წარმოებებში კი, დარგების აღჭურვა შესაბამისი ელექტროხელსაწყოებით და ელექტრიფიცირებული ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობებით (ამწევები, ტრანსპორტიორები, ელექტროკარები და სხვა).

მრეწველობის ელექტრიფიკაციის შემდგომი გაღრმავების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეკონსტრუქცია, ე. ი. როგორც ფიზიკურად ისე მორალურად მოძველებული მოწყობილობების შეცვლა ახლით. მოძველებული მოწყობილობების არსებობა აუარესებს საწარმოს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელს, მათ შორის, ადიდებს პროდუქციის ელექტროტევადობას. ძველი მოწყობილობის შეცვლა შესაძლებელს გახდის ელექტროენერგიის დანერგვა გადიდდეს პროგრესულ ტექნოლოგიურ და ძალურ პროცესებში. ფართოდ უნდა დაინერგოს ელექტროენერგია ისეთ პროცესში, როგორიცაა ლითონის დამუშავების ელექტრონაპერწკლური, ელექტროფიზიკური, ელექტროქიმიური, ელექტრონულსხივური, ელექტროეროზიული მეთოდები. განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია ყველა თერმული პროცესები შეიცვალოს ელექტროთერმულით, მაგრამ მიუხედავად ამისა შესაძლებელია წარმატებით იქნეს გამოყენებული გახურების მაღალტემპერატურული პროცესები მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების სამჭედლო საამქროებში და სამსხმელო პროცესები სამსხმელო საამქროებში. უკვე შესაძლებელია დაისვას საკითხი საქართველოში ელექტროფოლადის მიღების შესახებ.

ელექტროენერგია ფართოდ უნდა დაინერგოს ქიმიური ბოჭკოების წარმოებაში, ხორცისა და რძის მრეწველობაში. დიდ ეფექტს იძლევა ელექტროშრობა ქაღალდის მრეწველობაში და პურის ცხობაში.

შემდგომი პროცესი მრეწველობის ელექტრიფიკაციისა, უშუალოდ არის დაკავშირებული კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გადასვლასთან, კიბერნეტიკული მოწყობილობების გამოყენების საფუძველზე.

იმისათვის, რომ ყოველივე ეს პრაქტიკულად რეალიზებულ იქნეს, საჭიროა შეიქმნას შესაბამისი ეკონომიკური პირობები. პირველ რიგში, ელექტროენერგეტიკამ უნდა უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა შესაბამისი რაოდენობის ელექტროენერგიით. მეორეც, ელექტროენერგია უნდა გახდეს ეკონომიური, ე. ი. მისი უპირატესობა სხვა სახის ენერგიასთან შედარებით ეკონომიკურად

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა იქნეს რეალიზებული. შემდეგ, მანქანათმშენებლობამ უნდა უზრუნველყოს მოწყობილობათა ახალი სახეობების გამოშვება ტექნოლოგიური პროცესების ელექტრიფიკაციისათვის. იმაზე თუ რა ხარისხით და როგორი სისწრაფით იქნება შექმნილი ჩამოთვლილი მოთხოვნები, დამოკიდებულია საწარმოო პროცესების ელექტრიფიკაციის გაღრმავება, მისი ეკონომიკური ეფექტიანობა.

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკა ვითარდება არა სტაბილური ტემპებით. მაგალითად, 1960-1965 წწ. ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 63,5%, 1965-1970 წწ. — 48,4% 1970-1975 წწ. — 29,4%, ხოლო 1975-1980 წწ. — 26,5%-ით. მაშასადამე, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდის ტემპებს ჩვენს რესპუბლიკაში, ხუთწლედების მიხედვით, შემცირების ტენდენცია ჰქონდა. გამომდინარე აქედან, ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება ელექტროენერგეტიკის განვითარების მაღალი, სტაბილური ტემპების შექმნა და შენარჩუნება უნდა გახდეს.

Р. Б. АБЕСАДЗЕ

## ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ПОТРЕБЛЕНИЯ ЭЛЕКТРОЭНЕРГИИ В ПРОМЫШЛЕННОСТИ ГССР

Резюме

В статье изучен процесс потребления электроэнергии в социалистической промышленности в общем и в промышленности ГССР в отдельности. На сегодняшний день электроэнергия широко применяется в промышленности ГССР как в силовых, так и в технологических процессах. В 1980 году в промышленности ГССР в технологических целях использовалось 31,9% всей потребляемой в промышленности электроэнергии, а в силовых процессах — 52,2%. Несмотря на это, уровень потребления электроэнергии в промышленности ГССР низок.

В промышленности ГССР все еще низок уровень механизации и автоматизации производственных процессов. Удельный вес ручного труда в промышленности нашей республики составляет 55,3%. Еще выше этот показатель в отдельных отраслях. Также ниже в промышленности ГССР по сравнению с союзной показатель электровооруженности.

Для изменения существующего положения необходимы соответствующие экономические условия, определяющую роль которых будет играть создание и сохранение высоких и стабильных темпов развития электроэнергетики в нашей республике.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერი ჩხეტია

# მეცნიერული ინფორმაციის ფასეულობის რაოდენობითი განსაზღვრის შესახებ

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი აღმავლობის პერიოდში ინფორმაციის მოცულობა დღითი დღე იზრდება, ხოლო მისი შესწავლა-ანალიზისათვის ადამიანის ფსიქოლოგიური შესაძლებლობანი თითქმის უცვლელი რჩება. ამავე დროს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეცნიერებათა შორის კავშირებიც, რადგანაც თანამედროვე მეცნიერების განვითარებას ახასიათებს ცოდნის სხვადასხვა დარგების ურთიერთშეჭრა, მათ შორის საზღვრების წაშლა. ყოველივე ამის გამო, თვით უაღრესად კარგად ინფორმირებულ და კომპეტენტურ მკვლევარსაც კი უჭირს დროულად აღიქვას სხვადასხვა ქვეყნებში მეცნიერულ პრობლემათა გადაწყვეტის ტაქტიკაში მომხდარი ცვლილებები. ამის გამო, აუცილებელი ხდება მეცნიერული კვლევა წარვმართოთ ადამიანის შესაძლებლობათა გასაფართოებლად. ინფორმაციული ნაკადის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა კარგად ორგანიზებული სისტემის არსებობას. შეიძლება ლაპარაკი ინფორმაციული მომსახურების ახალი მიმართულების ორგანიზებაზე, რომელიც კვლევის ახალი მეთოდების მომიჯნავე დარგებში შეჭრის დასადგენად გამოიყენებდა ინფორმაციულ დამოწმებათა ენას (SCJ)[1]. მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგში აყენებს სამეცნიერო ინფორმაციის შეფასების, მისი ფასეულობის, მნიშვნელოვნების განსაზღვრის პრობლემას.

თანამედროვე „დიდი" მეცნიერების მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი საზოგადოებრივ-პრაქტიკული ფუნქციის გაძლიერება და აქედან გამომდინარე მისი ინტენსიური ზრდა. ამ პროცესების ძირითად მამოძრავებელ ძალად გვევლინება საზოგადოებრივი წარმოების გაზრდილი მოთხოვნილება მეცნიერული ცოდნის მიმართ. მეცნიერების საზოგადოებასთან მჭიდრო შეკავშირებას ამტკიცებს მისი შემდეგი თვისებები: მეცნიერება გადაიქცა საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალად, ის დამოკიდებულია სახელმწიფოსაგან ფინანსურად, ორგანიზაციულად და პოლიტიკურად. ეს მჭიდრო კავშირი გამოიხატება აგრეთვე იმით, რომ, საზოგადოებრივი აზრით, მეცნიერებას გააჩნია სოციალური ფასეულობა, ხოლო მეცნიერული მოღვაწეობა წარმოადგენს საპატიო საქმიანობას. ახალმა პირობებმა, რომელშიც აღმოჩნდა თანამედროვე მეცნიერება, გამოიწვია მეცნიერთა შრომის ხასიათისა და შინაარსის ცვლილება. „მცირე" მეცნიერების პერიოდში მთავარ ფიგურას წარმოადგენდა მეცნიერი მარტოხელა, რომელსაც კვლევისათვის არ ესაჭიროებოდა რთული ექსპერიმენტალური ტექნიკა, ამდენად ის იყო დამოუკიდებელი, არ ღებულობდა ეკონომიურ დახმარებას და ე. ი. არც დაკვეთას. საკვლევ პრობლემასაც თვი-

---

[1] Налимов В. В., Мульченко З. М. Наукометрия. М., 1970, с. 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თონ ირჩევდა. თანამედროვე მეცნიერი კი უკვე დიდი სამეცნიერო ორგანიზაციის მუშაკია, რომლის მუშაობაც იგეგმება და ფინანსირდება და ხშირად მისი მუშაობა ემსახურება პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. მარქსიზმი ადამიანის მოღვაწეობის მამოძრავებელ ძალად, მის წყაროდ მიიჩნევს მოთხოვნილებას. მაგრამ მოთხოვნილება ვიდრე ის გარდაიქმნებოდეს მოღვაწეობად გატარებულ იქნება პიროვნების შეფასებათა სფეროში, და რადგანაც ეს სფერო უშუალოდ უკავშირდება როგორც მოთხოვნილებას, ასევე მოღვაწეობას ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ის წარმოადგენს ძირითად რგოლს მოღვაწეობის მასტიმულირებელ ძალებში. საზოგადოებრივი მოთხოვნილების საფუძველზე ფორმირდება ფასეულობითი მიმართება.

ფასეულობა განიხილება, როგორც მეცნიერული მოღვაწეობის შემადგენელი ელემენტი. ფასეულობის ცნება შედის მეცნიერების შინაარსისა და მეცნიერების მოღვაწეობის მეცნიერებათმცოდნეობრივი ანალიზის კატეგორიალურ აპარატში. მაგრამ, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ფასეულობათა ბუნების გაგებაში, რასაც მეცნიერებათმცოდნეობა მიჰყავს გარკვეულ სიძნელეებამდე. ფასეულობას ჩვენ ვუწოდებთ ამა თუ იმ ობიექტის მნიშვნელოვნებას მეცნიერების, საზოგადოების, სოციალური ჯგუფის პროგრესული განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის. (მნიშვნელოვნება არის ობიექტის თვისება დააკმაყოფილოს არსებითი მოთხოვნილებები). შესაძლებელია ფასეულობათა კლასიფიკაცია ფასეულობითი მიმართების სუბიექტის მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფრო დიდი სოციალური ერთეულის ფასეულობანი ამჟღავნებენ ტენდენციას გავრცელდნენ მისი სტრუქტურის ელემენტებზეც. ასევეა მეცნიერების შემთხვევაშიც. ფასეულობითი წარმოდგენები საზოგადოების სულიერი კულტურის ელემენტებია, რომელთა ზემოქმედებაც ვრცელდება აგრეთვე მეცნიერებაზე. საზოგადოების სულიერი კულტურისა და მის ფასეულობათა ფონზე ფუნქციონირებს აგრეთვე სპეციფიკური მეცნიერული ფასეულობანი. თუ გავითვალისწინებთ რომ მეცნიერება ერთდროულად წარმოადგენს დაგროვილი ცოდნის სისტემას, სოციალურ ინსტიტუტს და მოღვაწეობას ცოდნის წარმოებისათვის, შეიძლება გამოვყოთ ამ ასპექტების შესაბამისი მეცნიერულ ფასეულობათა ჯგუფები, რომლებიც არეგულირებენ დამოკიდებულებას მეცნიერული მოღვაწეობისადმი.

ბოლო წლებში, მეცნიერული ინფორმაციის ფასეულობის პრობლემა სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

როგორც ცნობილია, სამეცნიერო ინფორმაციის მატარებელია რაიმე სახის პუბლიკაციაში დაფიქსირებული ტექსტი. არც ისე დიდი ხნის წინ ცდილობდნენ მეცნიერის მუშაობის პროდუქტულობის ობიექტურ საზომად ელიარებინათ პუბლიკაციათა რაოდენობა. ამან შეუწყო ხელი პუბლიკაციათა რაოდენობის ზრდის ისედაც მაღალი ტემპის კიდევ უფრო გაზრდას. ამჟამად, ვრცელდება ინფორმაციული მასალა, რომლის 70—80%-ს არ გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც იწვევს ინფორმაციული სისტემების გადატვირთვას და ხელს უშლის მის ეკონომიურად ხელსაყრელ ფუნქციონირებას[2]. ყოველივე ამან განაპირობა სამეცნიერო ინფორმაციის ფასეულობის პრობლემით მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა დაინტერესება. თავისთავად

---

[2] Лебедев Г. А. О развитии системы научно-технической информации, «НТИ», серия I, №4, 1975, с. 6.

ცხადია, სამეცნიერო ინფორმაციის ფასეულობის განსაზღვრის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება მეცნიერული კვლევის შეფასების პრობლემას.

საინტერესო იქნებოდა ინფორმაციის ფასეულობის ისეთი რაოდენობითი საზომის აღმოჩენა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დაგვესაბუთებინა ობიექტური კრიტერიუმები პუბლიკაციის ფასეულობასა და მეცნიერების პროდუქტულობას შორის არსებული დამოკიდებულების დასაზუსტებლად.

ცხადია, ინფორმაციის ფასეულობა შეიძლება დავახასიათოთ ისეთი ცნებებით როგორც არის: მეტი, ნაკლები, ტოლობა, ნულოვანი შეფასება და ა. შ. ეს კი ინფორმაციის ფასეულობის რაოდენობითი განსაზღვრის საფუძველს გვაძლევს.

მოკლედ დავახასიათებთ ამჟამად ინფორმაციის ფასეულობის შეფასებისათვის ობიექტური საფუძვლის მიგნებისადმი არსებულ სხვადასხვა მიდგომას.

ფუნქციონალურ-მიზნობრივი მიდგომისას ინფორმაციის ფასეულობის განსაზღვრის პრობლემა ისმება ფუნქციონალურად ორგანიზებული სისტემის ფარგლებში. ეს სისტემა მოიცავს ინფორმაციას ობიექტისა და შემფასებელი სუბიექტის შესახებ, რომლის ქცევა უნდა აღიწეროს მიზნით და ამ მიზნის მიღწევის საშუალებათა ცნებებით. მიზნის ფორმალური გამოსახულება იქნება მიზნის ფუნქცია. სისტემის ინფორმაცია ფასეული იქნება თუ ის ხელს უწყობს ამ სისტემისათვის დამახასიათებელი შინაგანი მიზნის რეალიზაციას, რომელიც ასახავს ობიექტურად მნიშვნელოვანი პრობლემის დასმას ან გადაჭრას. ყველაზე ზოგად შემთხვევაში ინფორმაციის ფასეულობა განისაზღვრება იმით, თუ როგორ ეთანადება მიღებული ინფორმაცია, რომელიც აღწერს საკვლევ ობიექტს, მიმღები სისტემის მიზანს. ფუნქციონალურ-მიზნობრივი მიდგომის არსს წარმოადგენს ამგვარი თანადობის შეფასება მოცემული კრიტერიუმით, რომელიც ასახავს სუბიექტის მიზანსა და ტეზაურუსის სტრუქტურის თავისებურებას. როგორც ცნობილია, შემფასებელი ობიექტის როლში გამოსული ინფორმაციის მიმღები სისტემა (ინდივიდი, ადამიანების ჯგუფი) ფლობს ცოდნის რაიმე მარაგს, აქვს გარკვეული ტეზაურუსი. ტეზაურუსის ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო ინფორმაციის ფასეულობის ანალიზისათვის, რადგანაც შემფასებელი სისტემა წარმოადგენს ფასეულობითი დამოკიდებულების ელემენტს. ცხადია, შემფასებელი სუბიექტის მიერ ინფორმაციის აღქმა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მას გააჩნია გარკვეული სისტემატიზირებული ცოდნის მარაგი, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის ფასეულობის განსაზღვრის შესაძლებლობა და ობიექტურობის ხასიათი განპირობებულია, პირველ რიგში, აღქმითი სისტემისა და შესაფასებელი ინფორმაციის ტექსტის ტეზაურუსთა თანადობის პირობებით. ეს თანადობა ახასიათებს ინფორმაციის მიმღების მიერ მისი გაგების პროცესს. შემფასებელი სისტემის ცოდნის მიმართ ტექსტში ინფორმაციის ფასეულობის რაოდენობა განისაზღვრება ტეზაურუსის სტრუქტურის იმ ცვლილებების ხასიათით, რომელიც გამოწვეულია მიღებული ინფორმაციის ზემოქმედებით. ტეზაურუსთა სტრუქტურის ურთიერთმოქმედების შესაძლებლობის უზრუნველყოფა აუცილებელი საწინდარია ინფორმაციის ფასეულობის რაოდენობითი შეფასებისათვის.

სამეცნიერო ინფორმაციის ფასეულობის რაოდენობითი განსაზღვრისათვის ამ მიდგომის პრაქტიკულად გამოყენება, როგორც ჩანს, დაკავშირებული

ეროვნული ბიბლიოთეკა



იქნება გარკვეულ სიძნელეებთან, რაც გამოწვეულია გარკვეული მიზნის მისაღწევად გამოყენებული დიდი რაოდენობის ფაქტორთა ანალიზის საჭიროებით. რადგანაც ამჟამად არ გაგვაჩნია ფასეულობის ობიექტური რაოდენობრივი ზომა, რომელიც ასახავდა მიზნის მიღწევის ხარისხს, შეუძლებელი ხდება გამოვსახოთ მიზანი რაოდენობრივად მიზნის ფუნქციის საშუალებით. ამის გამო, იძულებული ვხდებით განვიხილოთ ეს მიდგომა ხარისხობრივი პოზიციებით.

При проверке степени правовой информированности в первую очередь изучалось знание принципов презумпции знания закона (ignorantia juris nocet), презумпции невиновности (обвиняемый считается невиновным до доказывания обратного), равно как и принципа, что обвиняемый имеет право на защиту.

Распределение ответов на вопросы о знании этих трех правовых принципов показано в следующей таблице:

Таблица 3

Знание основных правовых принципов (ответы в %)

| Вид ответа | Знание основных правовых принципов | | |
|---|---|---|---|
| | ignorantia juris nocet | презумпция невиновности | право на защиту |
| 1. Правильный | 55,1 | 50,0 | 78,3 |
| 2. Неправильный | 22,5 | 25,6 | 9,7 |
| 3. «Затрудняюсь в ответе» | 22,2 | 24,4 | 11,8 |
| 4. Не ответившие | 0,2 | 0,0 | 0,2 |
| Всего: | 100 | 100 | 100 |

Как видно из таблицы, правильный ответ на эти три вопроса дает больше, чем половина опрошенных лиц. Этот процент является самым высоким при вопросе о праве на защиту и значительно более низким при других двух вопросах. Привлекает внимание, кроме того, относительно высокий процент лиц, затрудняющихся дать ответ на первые два вопроса.

Распределение ответов на остальные вопросы анкеты, целью которых было установить степень правовой информированности о конкретных правовых нормах, представлено в следующей таблице:

Таблица 4

Степень правовой информированности (ответы в %)

| Вид ответа | Знание правовых норм о | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | верховном органе власти | образовании ИК местного совета | характере трудового договора | процедуре развода | досрочном отзыве депутата |
| 1. Правильный | 43,9 | 63,3 | 69,0 | 79,2 | 56,2 |
| 2. Неправильный | 7,2 | 16,3 | 20,8 | 7,2 | 9,7 |
| 3. «Затрудняюсь ответить» | 48,9 | 20,1 | 9,7 | 13,5 | 33,8 |
| Всего: | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Исследование показывает, что опрошенная совокупность в целом имеет сравнительно хорошую правовую осведомленность относительно правовых норм. Самый высокий процент правильных ответов зафиксирован относительно вопроса о процедуре развода. На вопрос: «Могут ли супруги развестись через органы совета, не обращаясь в суд?» правильный ответ — «нет» — дает 79,2% опрошенных. Хорошая правовая осведомленность отмечена и в отношении нормы, из области трудового права («Что представляет собой трудовой договор?») и обеих норм из области государственного права («Как образуется исполнительный комитет местного народного совета?»; «Можно ли досрочно отозвать народного представителя, не выполняющего своих обязанностей?»).

Самый низкий процент правильных ответов дан на вопрос о знании верховного органа власти*.

Как стало ясно из исследования, лица, заявившие, что они получают информацию: из официальных юридических изданий, на занятиях в учебных заведениях, по месту работы, показывают лучшее знание соответствующих правовых принципов. У этих лиц отмечен самый высокий процент правильных ответов. Самую низкую степень правовой информированности в этом случае показывают те респонденты, для которых основным источником информации являются неформальные контакты.

Кроме того, было установлено, что социально-демографическая структура респондентов своеобразно влияет на выбор того или иного источника информации. Пол и возраст не оказывают влияния на выбор определенного источника информации. Такое влияние оказывают: социальный статус, образование, характер труда, общественная активность. Это влияние выражено следующим образом: по мере увеличения степени образования усиливается тенденция к использованию официальных юридических изданий в качестве источников информации; служащие, интеллигенты, а также лица, занимающиеся общественной работой, предпочитают официальные юридические издания. Студенты и домохозяйки, т. е. лица, которые не принадлежат к определенной профессиональной категории, предпочитают неформальные источники информации.

Анализ правовой информированности исследованной совокупности позволяет сделать следующие основные выводы:

1. средства массовой коммуникации являются наиболее распространенными источниками правовой информации;

2. исследованная совокупность в целом проявляет интенсивный интерес к правовым знаниям. Этот интерес обусловливается главным образом исполняемой социальной ролью и целями, из-за которых осуществляется поиск правовой информации;

---

* В ходе пробного опроса было установлено что респонденты часто не могут провести разграничение между «высшим» и «верховным» органом. Этим можно объяснить высокий процент не ответивших на этот вопрос.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



3. источники правовой информации влияют на степень правовой информированности. В большинстве случаев это влияние опосредствовано социально-демографическими параметрами;

4. образование, характер труда, общественно-политическая активность являются факторами, обусловливающими предпочтение определенного вида источника;

5. исследования совокупность как целое показывает сравнительно высокую степень правовой информированности;

6. официальные юридические издания, учебные занятия и место работы являются факторами, которые в наибольшей степени влияют на степень правовой информированности.

Полученные результаты одновременно имеют определенную практическую значимость — их можно использовать при организации системы мероприятий по распространению правовых знаний среди граждан.

## ЛИТЕРАТУРА:

1. И. Сабо. Основы теории права. М., 1974, с. 211; Studnicki, F., Znajomośći i nieznajomość prawa. Państwo i prawo, 1964, №2, s, 102; Turska, A., O fikcji powszechnej znajomośći prawa, Państwo i prawo, 1957, №9 s. 181.
2. Ст. Михайлов. Емпиричното социологическо изследванеs София, 1973.
3. Borucka-Arctowa, M., Poglady spoleczeństwa polskiego na stosowanie prawa., Krakow, 1978.
4. В. И. Каминская, Н. Я. Константинова, Н. А. Носкова, А. Р. Ратинов. Характеристика правосознания различных групп населения. — В сб.: Правовая культура и вопросы правового воспитания. М., 1974, с. 88.
5. Там же.

Представлена отделом уголовного права и криминальной психологии Института экономики и права АН ГССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნადარეიშვილი

# სასჯელის მიზნები და ამოცანები საეკლესიო სამართლის მიხედვით

საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმები ფეოდალური საზოგადოების ოფიციალური იდეოლოგია იყო. ბუნებრივია, რომ ქრისტიანული ეკლესიის დოგმები დიდ გავლენას ახდენდნენ მთელ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე და, ცხადია, მის სამართლებრივ სისტემაზეც.

სასჯელთა სისტემის სფეროში ეკლესია თანამიმდევრულად იბრძოდა კერძო შურისძიების წინააღმდეგ და საეკლესიო და საერო სასჯელების დამკვიდრებას უჭერდა მხარს.

ქრისტიანული ეკლესიის დოგმების მიხედვით, სასჯელის ინსტიტუტსა და დასჯის სისტემას თავისებური დასაბუთება აქვს. ამასთან დაკავშირებით შევჩერდეთ იოანე მმარხველის სახელით ცნობილ და ქრისტიანულ ეკლესიის სინამდვილეში ერთ-ერთ მეტად ავტორიტეტულ თხზულებაზე. მხედველობაში გვაქვს იოანე მმარხველის „კანონი შეცოდებულთანი“, რომელიც ქართულ ენაზე ექვთიმე მთაწმინდელს უთარგმნია. ამავე დროს, როგორც ირკვევა, ზემოხსენებული ნაწარმოები სიტყვა-სიტყვით კი არ უთარგმნია მთაწმინდელს, არამედ გადაუმუშავებია კიდეც. როგორც ჩანს, ქართველი მთარგმნელი წმინდა პრაქტიკული მიზანდასახულობით ხელმძღვანელობდა, როდესაც ბერძნული კანონიკური სამართლის ძეგლს აქართულებდა. ექვთიმე მთაწმინდელსავე უთარგმნია მსოფლიო მეექვსე კრების სჯულის კანონი[1]. ორივე ეს ძეგლი მოქმედი საეკლესიო სამართლის ნორმებს შეიცავდა და იგი მოქმედებდა საქართველოს ეკლესიის სინამდვილეში. ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი სიტყვა-სიტყვით კი არ თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად კანონიკური სამართლის ძეგლებს; მისი თარგმანები შეფარდებული იყო ქართულ სინამდვილესთან.

— „მცირე სჯულისკანონი“ და „დიდი სჯულისკანონიც“ ამჟამად უკვე გამოცემულია. ექვთიმესეული მსოფლიო VI საეკლესიო კრების კანონების შედარება დიდ სჯულისკანონში შესულ ანალოგიურ კანონებთან, აღნიშნავს, ე. გაბიძაშვილი, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ექვთიმეს მოუცია ამ კრების კანონების ახალი რედაქცია. „მას თავისებურად აქვს დალაგებული კანონები, საკმაო ოდენობითაა შეტანილი იქ ქართული მასალა, შეტანილია ისეთი კანონებიც, რაც ბერძნულ ორიგინალში და მისგან ნათარგმნ „დიდ სჯულისკანონში“ არ გვხვდება“[2].

„წესი და განგებაჲ და რჯულისკანონი მეექუსისა კრებისაჲ“-ს ტექსტში არაიშვიათად ვხვდებით ბასილი დიდის კანონებს. სამეცნიერო ლიტერატურა-

---

[1] „მცირე სჯულის კანონი“, გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა. თბ., 1973.

[2] „დიდი სჯულის კანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ნ. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ. „მეცნიერება“. თბ., 1975. გვ. 14—15.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ში ისიც შენიშნულია, რომ ხსენებული ძეგლი წარმოადგენს კრებულს, შედგენილს ტრულის 691 წლის კრების კანონებისა და ბასილი დიდის კანონების საფუძველზე, რომელსაც დამატებული აქვს თვით მთარგმნელის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან აღებული კანონებიც (მათ შორის ქართული და სომხური ეკლესიების შესახებაც). ამიტომ ნათელია, რომ ექვთიმე მთაწმინდელის ნაშრომს ბერძნულ მწერლობაში ზუსტი დედანი არ მოეპოვება[3].

როგორც იოანე მმარხველის „კანონნი შეცოდებულთანი“, ასევე ე. წ. მსოფლიო VI საეკლესიო კრების კანონები ქართულ ეკლესიას მიაჩნდა მოქმედ კანონიკურ სამართლებრივ ძეგლად და ამიტომაც ისინი შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სასჯელების დასადგენად.

მაგრამ ჯერ გავიხსენოთ, თუ საერთოდ როგორ შეხედულებას ავითარებდა ქრისტიანული ეკლესია სასჯელებზე.

შუა საუკუნეებში კანონიკური სამართალი სასჯელების განსაზღვრისას დიდ ყურადღებას აქცევდა ადამიანის შინაგან სულიერ განწყობილებას. წინააღმდეგ გერმანელების ჩვეულებითი სამართლის ნორმებისა, კანონიკური სამართალი თვლიდა, რომ დასჯადობის საზომად მიღებული უნდა იქნეს არა დამდგარი ობიექტური შედეგი, არამედ ამ უკანასკნელის მიზეზად ქცეული სუბიექტური ნება.

კანონიკურმა სამართალმა გერმანული ბარბაროსული სამართლის დებულებების საწინააღმდეგოდ წინ წამოსწია დანაშაულებრივი მოქმედების სუბიექტური მხარე. საეკლესიო მამების თხზულებებში ის აზრია გატარებული, რომ ვინც ბოროტი ნების გარეშე ჩაიდენს დანაშაულებრივ მოქმედებას, ის არ არის დამნაშავე. კანონისტების აზრით, ამიტომ ქალიშვილი, რომელიც ძალდატანებით გახრწნეს, ან გააუპატიურეს, მაინც ქალწულად რჩება და უბიწოდ უნდა ჩაითვალოს. საეკლესიო სამართლის თვალსაზრისით, მოქმედება დანაშაულია არა თავისი ობიექტური შედეგების მიხედვით, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ შედეგი გამოწვეულია ბოროტი გულზრახვით. სანამ მოქმედებას საფუძვლად არ უდევს დანაშაულებრივი განზრახვა, მანამ საერთოდ არ არსებობს დანაშაული. თვით მაშინაც კი, როდესაც მოცემული მოქმედების გარეგანი შედეგი არაფრით არ განსხვავდება დანაშაულებრივი განზრახვით ჩადენილი ქმედობით დამდგარი შედეგისაგან.

საერთოდ დანაშაული განიხილებოდა როგორც შეცოდება ღმერთის წინაშე. ამის გამო პატიების ბოძება, რომელსაც ძველი რომაული, გერმანული და ახალი დროის სამართალი სასჯელის არ აღსრულების საფუძვლად თვლის, შუა საუკუნეების სისხლის სამართალს, როდესაც იგი ქრისტიანული რელიგიის ძლიერ გავლენას განიცდიდა, დაუშვებლად ეჩვენებოდა[4]. რომის მსოფლიო მხიშვნელობის სახელმწიფოებრიობის წიაღში შემუშავებული შეხედულება, რომლის თანახმადაც სასჯელი არის მისაგებელი, რომელიც პიროვნებას შეუფარდა სახელმწიფომ საკანონმდებლო ძეგლის ან კანონის მნიშვნელობის მქონე ჩვეულებითი სამართლის ნორმის მიხედვით ჩადენილი დანაშაულის სანაცვლოდ[5], თითქოს დავიწყებას მიეცა.

———

[3] „მცირე სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადა ნ. გიუნაშვილმა. თბ., 1973.

[4] Г. Эйкен. История и система средневекового миросозерцания. СПб., 1907, пер. с немец., с. 499, 608—509.

[5] Th. Mommsen. Römisches Strafrecht. 1955. S. 897—899.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ძველი აღთქმის“ წიგნებიდან მომდინარე სამართლებრივი შეხედულებით, დანაშაული (ცოდვა) გადადიოდა დამნაშავის შთამომავლობაზე. ღვთაება მამების დანაშაულისათვის შვილებს სჯიდა მეოთხე თაობამდე. სათანადო ადგილი ბიბლიიდან შემდგომში ზემოხსენებული სამართლებრივი პრინციპის დასასაბუთებლად ხშირად გამოუყენებიათ. აქვე გავიხსენოთ, რომ დასავლეთის კანონიკური სამართალი ერეტიკოსების მიმართ დაახლოებით ამ პრინციპით მოქმედებდა. ერეტიკოსის ოჯახის ქონება მთლიანად კონფისკაციაქმნილი იყო და ამით მთელი მისი ოჯახიც ისჯებოდა. ასევე უკანონო შვილებიც მშობლების დანაშაულისათვის სასჯელს იზიარებდნენ.

კანონიკური სამართლის მიხედვით, მკვლელობა მარტო იმ მოტივით როდი ითვლებოდა სასტიკად აკრძალულ მოქმედებად, რომ იგი სახელმწიფო მშვიდობის ძალადობით დარღვევაა, არამედ იმისათვისაც, რომ ის დანაშაულია, ცოდვაა ღმერთის წინაშე.

იმდენად, რამდენადაც ადამიანი ღვთის „სახებად“ ითვლებოდა მისი მკვლელობა, პირველყოვლისა, წარმოადგენდა ღვთაებრივი პირველსახეობის შებილწვას. ამის საფუძველზე კანონიკური სამართალი არ იძლეოდა წარმართისა და იუდეველის, ისევე როგორც ქურდისა და ყაჩაღის მოკვლის უფლებას დანაშაულის ჩადენის დროს იმ შემთხვევაში, თუ მათი ცოცხლად შეპყრობა შესაძლებელი იყო.

დასავლეთ ევროპაში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩვენ ვერ ვპოულობთ რაიმე ჩამოყალიბებულ, სისტემაში მოყვანილ სასჯელის თეორიას. XIII საუკუნის თეოლოგიურ ლიტერატურაში, კერძოდ თომა აქვინელის თხზულებებში, სასჯელის თეორია უფრო სისტემაში მოყვანილი არის. თომა აქვინელი, რომელიც არისტოტელეს ფილოსოფიის დიდ გავლენას განიცდიდა, ამ უკანასკნელს ათანხმებდა ქრისტიანული დოგმების ძირითად საწყისებთან. თომა აქვინელის მიხედვით, დანაშაული ღვთაებრივი წესრიგის დარღვევაა დედამიწაზე, ხოლო სასჯელი საქაოში ღვთაებრივი სამართლიანობის გამოხატულება არის. გარდა ამისა, დანაშაული ეკლესიის მოთხოვნილებათა დარღვევასაც წარმოადგენს.

თომა აქვინელი დიდ ანგარიშს უწევს შურისძიების ბუნებრივ გრძნობას და მის ნაწერებში სახელმწიფო სასჯელის სამაგიეროს მიზღვის სახე აქვს მიღებული მიყენებული ზიანის ნიველირების ასპექტში. სასჯელის მიზანია მიყენებული ზარალის ზღვევა, დამნაშავის გამოსწორება და მესამე პირების დაშინება. თომა აქვინელის აზრით, ცოდვა არ შეიძლება დაუსჯელი იყოს. ადამიანთა კანონები ღვთაებრივი კანონებით უნდა იქნან დამატებული[7]. ცხადია, XIII საუკუნის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის განსხვავება არცთუ მცირე იყო და თომა აქვინელის მოძღვრებაც ხომ სახელმძღვანელოდ არ იყო მიღებული აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ამიტომ იგი ხელაღებით არ გამოგვადგება აღმოსავლეთის ეკლესიაში მიღებული სასჯელის თეორიის დასახასიათებლად, მაგრამ მათ შორის უთუოდ მნიშვნელოვანი ზოგადი მსგავსებაა. მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების სასჯელის მოძღვრება საერთო თეორიულ საფუძველს ეყრდნობა.

როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის ქრისტიანული ეკლესიის შე-

---

[6] იხ. ეიკენი. ციტ. თხზ., გვ. 505.

[7] М. Д. Шаргородский. Наказание по уголовному праву..., М., 1957. გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხედულებით სასჯელი არ არის კერძო შურისძიება. ამ პუნქტში საეკლესიო მოძღვრება გაემიჯნა ადრეკლასობრივ პრიმიტიულ შეხედულებას სასჯელზე, როგორც დაზარალებულის კერძო ინტერესების დაკმაყოფილებაზე. სასჯელი ისეთი რელიგიურ-სოციალური ხასიათის მისაგებელია, რომლის შეფარდებაც ღმერთის საქმეა. ღმერთს ხელეწიფება სამაგიეროს მიზღვა. ღმერთის ხელში სასჯელი ბერკეტია, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობის ისტორიაში იგი ახორციელებს თავის უმაღლეს და მარადიულ მიზნებს.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში" მაღალმხატვრულ სახეებშია წარმოდგენილი ეკლესიის შეხედულებები სასჯელზე და თანაც ისე შთამბეჭდავად, რომ მისი ჯოჯოხეთი, როგორც სასჯელთა სამყარო, გაცილებით უფრო საინტერესოა მკითხველთათვის, მიუხედავად მისი სასტიკი რეალობისა, ვიდრე ავტორის მიერ გენიალური შთაგონებით შექმნილი სამოთხე.

კათოლიკური ეკლესია არაიშვიათად იყენებდა სასამართლო პრეროგატივას თავისი შემოსავლის გასადიდებლად. დასჯილ პირებს ქონების კონფისკაცია ეფარდებოდათ. რომის პაპი თავისი ამნისტიით არამარტო სასჯელისაგან ათავისუფლებდა ამ ქვეყნად, არამედ ბრალისაგანაც და ამით საიქიო ცხოვრებაში „ნეტარ ცხოვრებას" უმზადებდა მას. კათოლიკური ეკლესია მარტო ჩადენილ დანაშაულს როდი მიუტევებდა ფულისათვის დამნაშავეს, სათანადო თანხის გადახდით დამნაშავეს მიეტევებოდა ის დანაშაულიც, რომელიც მას მომავალში შეეძლო ჩაედინა[8].

რომის პაპის ერთ-ერთ დადგენილებაში სპეციალურ ტაქსაციას, ვხვდებით ცალკეულ დანაშაულებათა გამოსასყიდთან დაკავშირებით. „თუ ვინმე მოკლავს მამას, დედას, ძმას, დას, ცოლს ან საერთოდ ნათესავს, ცოდვისაგან განიწმინდება, თუ გადაიხდის 5—7 ტურის მონეტას"., თუ ვინმე რამოდენიმე მკვლელობაში ერთდროულად მონაწილეობს, ყოველგვარი სასჯელისაგან იხსნის თავს, თუ გადაიხდის 131 ლივს 14 სუსა და 6 დენიეს. ვინც ცოლს მოკლავს და მეორეზე დაქორწინება სურს, მიიღებს ამის ნებართვას 8 ლივრისა და 6 დუკატის გადახდის შემდეგ. ასევე სოდომური ცოდვის და პირუტყვთმავლობისათვის დამნაშავეს ცოდვები მიეტევება შესაბამისად 131 და 219 ლივრის გადახდით. 3—5 წლით ინდულგენციების შეძენით წინასწარ, შესაბამისად 3—5 წლის მანძილზე შეიძლებოდა დანაშაულებათა მიტევება[9].

ასეთი იყო დასავლეთის კანონიკური სამართალი მის პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანონიკური სამართლის ქვეშ ის სამართლებრივი ნორმები იგულისხმებიან, რომლებიც დადგენილია ქრისტიანული ეკლესიის უმაღლესი საკანონმდებლო ავტორიტეტის მიერ. აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიისათვის ესაა მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ გამოცემული წესები („კანონები"). დასავლეთის კათოლიკური ეკლესიისათვის გარდა ზემოხსენებულისა, პაპის დეკრეტები და დადგენილებები, აგრეთვე ადგილობრივი საეკლესიო კრებების ნორმები შედიოდნენ კანონიკური სამართლის კრებულში. მას შემდეგ, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა, ეკლესიისა და საეკლესიო სასამართლოს როლიც ფართოვ-

---

[8] იქვე, გვ. 65.

[9] იქვე, აგრ. იხ., Вопросы истории религии и атеизма. Сб. 2, М., 1954, с. 320—350, 412—451.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დება, საქორწინო, საოჯახო, მემკვიდრეობის და ასე განსაჯეთ, სისხლის სამართლის საქმეებიც კი ემორჩილებოდა საეკლესიო სასამართლოს.

იოანე მმარხველის „კანონი შეცოდებულთანი"-ს თარგმანით და ექვთიმე მთაწმინდელის კომენტარებით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ სასჯელების იმდროინდელ მოძღვრებაზე

ღმერთმა, ამ მოძღვრების მიხედვით, პირველი ადამიანების—ადამის და ევას მიერ ჩადენილი ცოდვისათვის ადამიანების მოდგმა იმით დასაჯა, რომ სამოთხიდან გააძევა—ექსორიაყო ისინი; როდესაც ადამიანებმა ისევ და ისევ ახალი ცოდვები ჩაიდინეს, მაშინ ღმერთმა კაცობრიობას წარღვნა მოუვლინა, რომლითაც უნდა მთელი უკეთურება აღმოფხვრილიყო და კაცობრიობაც განახლებულიყო.

მაგრამ არც წარღვნის შემდეგ ხელახლა მომრავლებულმა კაცობრიობამ არა სთქვა უარი ცოდვებზე და ბოროტმოქმედების ჩადენაზე, მაშინ ღმერთმა სასჯელად ხორციელი ტანჯვა, ხორციელი სატანჯველი შემოიღო. ებრაელების სახით ღმერთმა კაცობრიობას „მისცა ძველი იგი რჩული მოსეს აღწერილი და ბრძანა ხორციელთა ტანჯვითა წურთად მოქმედთა ცოდვისათა, რათამცა შიშითა მით ტანჯვისთა დასცხრეს უკეთურება კაცთაჲ და ცოდვისა მიმართ წარმდედობა"[10].

მოვიდა ახალი დრო და „ძველი რჩულიც" შეიცვალა. სასჯელების ძველი რიგი, სასჯელთა ძველი სისტემა „ახალმა აღთქმამ" მნიშვნელოვან წილად უარყო. მოსეს კანონმდებლობის რიგი სუფევდა მანამდე, სანამ იესო ქრისტემ თავისი სიკვდილით არ „ახუნა ცოდვანი სოფლისანი და ტანჯვა იგი ცოდვათა ჩვენთათვის განწესებული" — თავიდან არ აგვაცილაო, — ამბობდნენ საეკლესიო მწერლები. იმ შედარებით სასტიკი სასჯელების ნაცვლად, რომლებიც „ძველი აღთქმის" წიგნების მიხედვით იყო გათვალისწინებული დამნაშავეებისათვის, იესო ქრისტემ „ნებისითა სიკუდილითა მისითა მოცა ზიარება და დაგვიდვა კანონად სინანულისა". რომ თუ ქრისტიანმა ცოდვა ან ბოროტმოქმედება ჩაიდინა, „...განეყენოს ზიარებისაგან..., გინა თუ მცირედი წელთა, გინა თუ მრავალთა, ანუ თუ სიკუდილადმცა შემსგავსებულად კაცად-კაცადისა ცოდვათა".

ამასთან დაკავშირებით მოციქულები და ქრისტიანული ეკლესიის აღიარებული ავტორიტეტები თითოეული ცოდვა-დანაშაულისათვის განსაზღვრავენ უზიარებლობის კანონის ხანგრძლივობას.

ქრისტიანულმა ეკლესიამ მარტო საიქიო კი არა, სააქაო სასჯელების აუცილებლობაც აღიარა. სიმპტომატურია სასჯელის ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინების სიმრავლე ქართულ სინამდვილეში. ასეთებია: სისხლი, მისაგებელი, პატიჟი, მტანჯველობა, სატანჯველი. „დიდ სჯულისკანონში" სასჯელის მნიშვნელობით იხმარება პატიჟიცა და მტანჯველობაც. მოგვიანებით გაიოზ რექტორი სასჯელის ზოგად ცნებას სატანჯველით გამოხატავდა.

ტერმინი მიახლოებით ასახავდა სასჯელის არსს. ეს პირველ რიგში ეხება საჯარო სასჯელებს. მაგრამ ხორციელი ტანჯვა-ცემისაგან არც მონასტრები იყვნენ სავსებით თავისუფალი. გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, ექვთიმე მთაწმინდელი დამნაშავე ბერს თასმით ცემას მიუსჯიდა ხოლმე. ხოლო ზოგ

---

[10] იქვე, გვ. 8; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. გვ. 527.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემთხვევაში ბერს, რომელიც მონასტერში შფოთის მოთავე იქნებოდა, ისე მძიმედ სცემდნენ, რომ „ცემული“ სამ კვირას ლოგინიდან ვერ დგებოდა.

საეკლესიო სასჯელების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საეკლესიო კანონების დამრღვევს ალეკვეთება ან ყველა უფლება და სიკეთე, რომელიც განსაკუთრებულად ეკლესიის გამგებლობაში იყო, ან მხოლოდ ერთი მათგანი. აქედანვეა წარმოშობილი საეკლესიო სასჯელების საერთო სახელწოდება—განკვეთა (excommunicatio)[11]. თავის მხრივ, ეკლესიისაგან განკვეთა შეიძლებოდა ყოფილიყო ან სრული, რაც გულისხმობდა დამნაშავის სავსებით ამორიცხვას ეკლესიის წევრების რიცხვიდან (excommunicatio major), ან არასრული, როდესაც ბრალდებულს ჩამოართმევდნენ ზოგიერთ უფლებას და აღუკვეთავდნენ რომელიმე ისეთ სიკეთეს, რაც ეკლესიის განკარგულებაში იყო. თავისთავად იგულისხმება, რომ ეკლესია თავისი სასჯელების სიმძიმეს დანაშაულის სიმძიმეს უკავშირებდა. ეკლესიისაგან სრული განკვეთა მხოლოდ ძალიან მძიმე დანაშაულისათვის თუ დაინიშნებოდა.

ასეთი მძიმე დანაშაული იყო ეკლესიის პატივისა და ღირსების მძიმე შეურაცხყოფა, მისი ქრისტიანული სახელის შებილწვა, როგორც მაგალითად, ერესი, განდგომილება, ღვთის გმობა, სისხლის აღრევა, მრუშობა, მკრეხელობა და ზოგიერთი სხვა.

ეკლესიამ სასჯელის მოხდის საშუალებად აღიარა საჯაროდ მონანიება, რომელიც ოთხი სხვადასხვა საფეხურისაგან შედგებოდა.

დასჯადობის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ ე. წ. მტირალნი. ისინი უნდა მდგარიყვნენ ეკლესიის გარეთ, კარებთან, ღია ცის ქვეშ და ამიტომაც იწოდებოდნენ ღელვა-გვემულებად, შეშფოთებულებად. ისინი ბეწვიანი სამოსელით უნდა მდგარიყვნენ ეკლესიასთან და ეკლესიაში შემსვლელის წინ პირქვე უნდა დაცემულიყვნენ. ამასთანავე მლოცველებისათვის ვედრებით უნდა მიემართათ, რათა მათთვისაც ელოცათ.

მეორე კატეგორიის დასჯილ დამნაშავეებს ეწოდებოდათ მსმენელები, სხვანაირად მოყურადენი. ისინი ეკლესიაში სახარების მოსასმენად დაიშვებოდნენ.

მესამე სახის სასჯელი იყო ეკლესიაში დარჩენა მას შემდეგაც, რაც მლოცველები იქიდან წავიდოდნენ. ესენი იყვნენ „შევრდომილნი“. ზოგიერთი ლოცვა ეკლესიაში დამნაშავეებისადმიც იყო მიმართული. ამ უკანასკნელებს იგი ისე უნდა მოესმინათ, რომ პირქვე ყოფილიყვნენ დამხობილი იატაკზე. აქედანვე წარმოსდგა მათი სახელწოდებაც—პირქვედამხობილები, ქვეშერდომილნი.

მეოთხე სახის სასჯელი იმაში მდგომარეობდა, რომ დამნაშავეებს აღკვეთილი ჰქონდათ უფლება მიეღოთ წმინდანთა ნაწილები, თუმცა მათ ლოცვის დროს მორწმუნეებთან დგომა ნებადართული ჰქონდათ.

ბასილი კაპადუკიელის ეპისტოლეში, რომელიც ქართული ეკლესიის „დიდ სჯულისკანონში“ იყო მოთავსებული, იკონიის ეპისკოპოსის ამფილოქეს მიმართ ნათქვამია: „უნებლიეთ კაცის მკვლელი ათ წელ უზიარებელ იყოს სიწმიდეთა, ხოლო განგებულ იქნენ მის ზედა ათნი იგი წელიწადნი ესრეთ: ორ წელ შესტიროდის, სამი წელიწადი მსმენელთა თანა დაყოს, ოთხ წელ შე-

[11]. А. С. Павлов. Курс церковного права. СПб., 1902, с. 419.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უვრდებოდის და წელიწადსა ერთსა მხოლოდ დგეს ოდენ მორწმუნეთა თანა და ამისა შემდგომად შეწყნარებულ იქნეს ზიარებად სიწმინდეთა".

„მპარავმან უკეთუ თვით შეინანოს და შეასმინოს თავი თვისი, ერთსა ოდენ წელიწადსა დაყენებულ იქმნეს ზიარებისაგან სიწმინდეთასა, ხოლო უკეთუ სხუათა მიერ ემხილოს, ორსა წელწადსა. ხოლო ჟამი ესე ორთა წელიწადთაჲ მის ზედა შევრდომად და დადგომად მორწმუნეთა თანა და ეგრეთ ღირს იქნეს ზაირებისა"[12].

საჯარო მონანიება, როგორც საეკლესიო სასჯელი, საშუალება იყო ეკლესიასთან მორწმუნეთა შერიგებისა. მონანიების შედეგად ცოდვილი კვლავ ხდებოდა ეკლესიის წევრად.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიისაგან სრული განკვეთა, ანათემა, შუა საუკუნეებში როგორც უმაღლესი საეკლესიო სასჯელი, მეტად მძიმე იყო იმ მხრივაც, რომ იგი თავისი შედეგებით პოლიტიკურ სიკვდილს უდრიდა და ყველა ის, ვისაც ეკლესია ანათემას გამოუცხადებდა, განსაკუთრებით კი ერეტიკოსები, სიკვდილით უნდა დასჯილიყვნენ. ახალ დროში კი, რა თქმა უნდა, ანათემა არ უკავშირდება არავითარ სამოქალაქო და პოლიტიკურ სიკვდილს.

სასჯელთა სახეების დაწესების საკითხში აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ და დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიას შორის აზრთა საგრძნობი სხვაობა იყო, როგორც სასჯელების სიმკაცრის თვალსაზრისით, ასევე ზოგიერთ სხვა სფეროშიაც.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ იოანე მმარხველის „ნომოკანონში" გატარებული თვალსაზრისის მიხედვით, „ახალი აღთქმის" მიცემის შემდეგაც, რაკი ღმერთი ხედავდა, რომ ადამიანები ცოდვა-დანაშაულზე ხელს მაინც არ იღებენ, მან მოგვივლინა „მნათობნი ეკლესიათანი" და მათი მეშვეობით სასჯელები შეამსუბუქა. ღმერთმა ცნობილ საეკლესიო მოღვაწესა და კანონისტს ბასილი კესარიელ მთავარ ეპისკოპოსს უბრძანა „აღეწერა კანონთა მათ წყალობით".

ბასილი კესარიელს წინათ არსებული მკაცრი სასჯელები ერთიორად შეუმსუბუქებია, მაგრამ საქმე არც ამით დამთავრებულა. იოანე მმარხველის „ნომოკანონის" მიხედვით, ღმერთს თავისი რისხვის გაძლიერება და დამნაშავის სიკვდილი კი არა, არამედ სინანულის შემსუბუქებით ცოდვილის მოქცევა და ცხოვრება სწადია. „ნომოკანონის" ავტორს თავისი ნაშრომი იმ რწმენაზე აქვს დამყარებული, რომ ღმერთი მოელის „ცოდვილთა მოქცევასა და სინანულსა" და სხვა.

იოანე მმარხველის ნომოკანონის—მართლმადიდებლური ეკლესიის ეპიტიმური საკანონმდებლო ძეგლის ძირითადი ხაზია მორწმუნეთათვის სასჯელის შემსუბუქება.

ხსენებულსავე საკანონმდებლო ძეგლში „მონანულთა აღსარების შესახებ" დარიგებაში კვლავ ხაზგასმულია, რომ ჯერ არს, ოდეს აღსარებასა ვინ მონანულისა შეიწყნარებდეს, რათა „...მხიარულითა პირითა და გულითა სახიერითა ტკბილად ეუბნოს, ვითარცა სტუმრად ხადოდა, ანუმცა მეგობარსა საყუარელსა შეიტკბობდა". კანონმდებელი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ ცხოვრება-

———

[12] „დიდი სჯულისკანონი". გამოსაცემად მოამზადეს ნ. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, „მეცნიერება", 1975, გვ. 493, 494.

ში უნდა დაინერგოს „სუბუქნი და შემოკლებულნი წესნი და კანონნი მონანულთანი“.

შუა საუკუნეების საბერძნეთსა და სხვა მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ქვეყნებში დიდი ნომოკანონის გვერდით, რომელიც საეკლესიო წყობილებისა და დისციპლინის ფუძემდებელი ძეგლი იყო, მოქმედებდა ე. წ. მონანიების სჯულისკანონი. ეს უკანასკნელი ითარგმნებოდა ქართულ, სლავურ და სხვა ენებზე.

ზაოზერსკი და შემდეგ ივ. ჯავახიშვილი იმასთან დაკავშირებით, რომ უზიარებლობით დასჯის გამჭრელობა და სიმკაცრე ნათელი შეიქმნეს, მიუთითებენ შუა საუკუნეების ქრისტიანი ადამიანისათვის ზიარების მნიშვნელობაზე. ზიარება აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში და განსაკუთრებით კი ბიზანტიაში თურმე სარწმუნოების იმდენად აუცილებელ კუთვნილებად მიაჩნდათ, რომ თეოდორე კენტერბერიელის შეცოდებულთა კანონის ცნობით, ბერძნები თურმე, მღვდელმსახურნიც და ერისკაცნიც, ეზიარებოდნენ. ვინც სამი კვირის განმავლობაში არ ეზიარებოდა, კანონის თანახმად, ეკლესიიდან უნდა განდევნილიყო[13].

დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიაში ასე ხშირ-ხშირად ზიარება სრულიად არ იყო თურმე სავალდებულო. ამიტომაც უზიარებლობა, როგორც დასჯითი ღონისძიება, რომის კათოლიკურ ეკლესიაში არ შეიძლებოდა ისეთივე დიდმნიშვნელოვანი ყოფილიყო, როგორც აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. სწორად შენიშნავს ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი, რომ ამის გამო უზიარებლობა დასავლეთ ევროპაში ისეთ გამჭრელ და მომარჯვებულ სასჯელად ვერ გამოდგებოდა, როგორც ეს საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ეკლესიაში იყო გამოსაყენებელი. იქ სხვაგვარი საშუალება იყო ნახმარი.

დასავლეთში, ფრანკების ეკლესიის სასჯელთა სისტემის ძირითადი პუნქტი იყო მარხვა, ჭამა-სმის შემცირება, „პურისა და წყლის“ უფლების აკრძალვა. ცხადია, „მარხვა“ გაცილებით უფრო მძიმე ასატანი სასჯელი იყო, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიაში მიღებული უზიარებლობა.

ქრისტიანული ეკლესიის იდეებს დასავლეთ ევროპაში თავისებური, აღმოსავლეთისაგან განსხვავებული სოციალ-ეკონომიური და კულტურული ნიადაგი დახვდა. დასავლეთის ახალი ხალხების ზნეობრივი და გონებრივი განვითარების დონესთან ერთად ამ გარემოებამაც თავისი ღრმა ბეჭედი დაასვა იქ მიღებულ საეკლესიო სასჯელების სისტემას. დასავლეთში საეკლესიო სასჯელების ცნება თავისებურად გადამუშავდა და შეეწყო და შეეზარდა იქ არსებულ ჩვეულებითი სამართლის ნორმებს. ასე რომ, ამ უკანასკნელის მიხედვით, დამნაშავის მონანიებას კი არა, მისთვის სამაგიეროს მიზღვას ეძლეოდა მნიშვნელობა. ეს მათთვის გაცილებით გასაგები და ბუნებრივი იყო. ისევე, როგორც საერთო სამართლის ნორმების მიხედვით დამნაშავეს დაზარალებულისა და მისი ნათესავებისათვის უნდა გადაეხადა დარღვეული სიკეთისათვის განსაზღვრული საზღაური, ასევე საეკლესიო სამართლით შეცოდებათა მოსანანიებლად ქონებრივი საზღაურის გადახდა შემოვიდა. ცოდვა აქ განიხილებოდა, როგორც იმ უფლებების დარღვევა, რომელიც ღმერთისთვისაა თანაარსი ადამიანთა მიმართ. ამიტომაც ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც პირი თავისი თანამემამულის უფლებებს არღვევს, მან განსაზღვრული გამოსასყიდი უნდა გადაუხადოს დაზარალე-

---

[13] იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. II, გვ. 528.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბულს და მის ნათესავებს, რომ შურისძიების მსხვერპლი არ გახდეს, სწორედ ასევე ღმერთის უფლებების დამრღვევმა მას სამართლიანი საზღაური უნდა გადაუხადოს, რომ იმ ქვეყნად (საიქიოში) ღმერთმა მის მიმართ შური არ იძიოს[14].

დასავლეთ ევროპაში მიღებული საეკლესიო სასჯელები — მარხვა, ძილის აღკვეთა, ფსალმუნის განსაზღვრული რიცხვის გალობა, თაყვანისცემის გარკვეული რიცხვის შესრულება და სხვა მაშინდელ დასავლეთ ევროპაში საერო პირებს სასტიკად მიაჩნდათ და რომის ეკლესიაც ამ სასტიკი წესების შემსუბუქებაზე ზრუნავდა. სხვა გარემოებებთან ერთად ეს უკანასკნელიც იყო იმის მიზეზი, რომ კათოლიკური ეკლესია შემწყნარებლობას იჩენდა, როდესაც სასჯელების ფულადი სახეობის დანერგვას ხედავდა.

კელტურ-გერმანული შეხედულება სასჯელზე, როგორც სამაგიეროს მიზღვაზე, თანდათან ვრცელდება მოსანანიებელ სასჯელთა სფეროშიც[15].

რეცეპირებულისაგან შენარჩუნებული იქნა მხოლოდ ფორმა, სასჯელის შინაარსი ჩვეულებითი სასჯელის მართლშეგნებამ განსაზღვრა.

აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანული ეკლესიების პრაქტიკაში სასჯელთა სისტემა და სახეები სავსებით იდენტური არ ყოფილა. შემჩნეულია, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის პრაქტიკაში, განსხვავებით დასავლეთისაგან, სასჯელები ასე თუ ისე უფრო მსუბუქნი იყვნენ. რა თქმა უნდა, სწორი არ არის ზოგიერთ მკვლევართა აზრი, რომელნიც პრინციპულად უპირისპირებენ მართლმადიდებელი და რომის კათოლიკური ეკლესიის სასჯელთა სისტემას. რა თქმა უნდა, სწორი არ არის ზაოზერსკიც, რომელიც ცამდის ადიდებს აღმოსავლეთის ეკლესიის შეცოდებულთა კანონებს მათი ჰუმანური ხასიათისა და დამნაშავეთა მიმართ ლმობიერებისათვის, რომის ეკლესიასა და რომის ეკლესიის პენიტენციალებს კი ბარბაროსული სიმკაცრისა და საკანონო ქონებრივი სასჯელისათვის სასაცილოდ იგდებს და სამარცხვინოდაც კი თვლის. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა თავისი მოსაზრება და მიუთითა, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის მხრივ შეცოდებულთათვის სასჯელის შემცირება და შემსუბუქება იმდენად კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობებით არ იყო ნაკარნახევი, რამდენადაც ცხოვრების უკუღმართობისა და პოლიტიკის თვალსაზრისით, რადგანაც მძიმე სასჯელი აღმოსავლეთში დამნაშავეს ეკლესიაზე გულს უყრიდა და ზნეობრივადაც აშორებდა ეკლესიას[16]. მართლაც, იოანე მმარხველის ნომოკანონში ხშირად ვხვდებით სასჯელთა შემსუბუქებაზე მსჯელობას და შესაბამისად ნორმასაც. სიძვისათვის იოანე მმარხველამდე დაწესებული ყოფილა დამნაშავის შვიდი წლით უზიარებლობა. იოანე მას სამი წლით უზიარებლობის კანონით ცვლის „უძლურებისათვის ამის ნათესავისა". ნომოკანონის ავტორის აზრით, მკაცრი სასჯელების მომხრეები „კანონის დამძიმებათა სასოებას წარუკვეთენ" დამნაშავეს და ამით „შეცოდებულთა გარემიაქცევენ სინანულისაგან". ამავე მიმართულებით მსჯელობს ექვთიმე მთაწმინდელიც, რომელიც სავსებით გარკვეულად ამბობს, რომ პირველი წმინდათა მო-

———

14 Wasserschleben. Die Jrische Kanonensammlung. Giessen. 1874. გვ. 113—115.

15 В. Сокольский. О влиянии германского и кельтского права на систему кар и покаяний Западной церкви. ЖМНПР, 1882. окт.

16 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. II, გვ. 530.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციქულების და მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ განწესებული კანონები „ფრიად მძიმე იყვნეს“ ხოლო შემდგომ ამისა ვასილი დიდმა რა დაინახა, ადამიანთა მოდგმა (კაცთა ნათესავი) უძლურია, ფრიად შეამსუბუქა შეცოდებულთათვის დაწესებული სასჯელებიო. ვასილი კესარიელის მიერ შემსუბუქებული სასჯელები აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებმა შემდეგში ისევ ხელმეორედ შეარბილეს. ამავე დროს გამონაკლისის სახით ისეთ მდგომარეობასაც ვხვდებით, როდესაც წინათ შემსუბუქებული სასჯელის ღონისძიებას კვლავ ამძიმებენ, მაგრამ საერთო სურათში ეს გარემოება ბევრს არაფერს ცვლის.

ვასილ კესარიელის მიერ შედგენილი განწესება შეურაცხმყოფელი კოცნა-მიახლოებისათვის სასჯელად აწესებდა 80 დღით უზიარებლობას, გარდა ამისა, კანონისტის სიტყვით, ცოდვილნი უნდა „დღითი-დღე ჭამდნენ პურსა და წყალსა“. ამავე დროს, სასჯელის შეფარდების პროცესში, კანონისტის რჩევით, დამნაშავეს სასჯელი უნდა შეუმოკლდეს („შენმცა შეუმოკლე კანონი იგი“). სასჯელის ღონისძიებად უჭმელობა, მუხლთა მოყრა, დამწყვდევა, ხმელითა პურითა და წყლით დატოვება, ზემდგომი ჭამა, აღმოსავლეთის ეკლესიის სამონასტრო წყობისათვის არ ყოფილა უცხო. კარგად იცნობს რა ყოველივე ზემოთქმულს, აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს:

„დასასრულ რომ არც ცემაა დასავლეთის ეკლესიის განსაკუთრებული სასჯელი, არამედ ბიზანტიაშიც და საქართველოშიაც ისევე, როგორც უფრო გულმოდგინედ რუსეთშიაც იყო მიღებული.

ამგვარად, ქონებრივ სასჯელს გარდა, სხვა განსხვავება არსებითად არ არის. განსახილველია, მაშასადამე, განსაკუთრებით ქონებრივი სასჯელის სისტემა და მისი თვისება და მნიშვნელობა.

როგორც ზემონათქვამიდან ცხადად ჩანს, დასავლეთისაც და აღმოსავლეთის ეკლესიებშიც ძველი მკაცრი სასჯელების შემსუბუქების აუცილებლობა თანასწორად შეგნებული ჰქონიათ და მათ სიმძიმის შემცირებას შესდგომიან. თუმცა ბერძენთა ეკლესია კაცთმოყვარეობაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სასჯელთა სისტემის შემსუბუქების ნამდვილი მიზეზი და მაიძულებელი გარემოება ეს თეორიული და განყენებული პრინციპი და გრძნობა კი არ იყო, არამედ ის მწარე გამოცდილება, რომ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის გამო შეცოდებულნი და დამნაშავენი თავიანთ ბრალეულობას მალავდნენ და მსჯავრს გაურბოდნენ. ეს რომ არ მომხდარიყო, აღმოსავლეთის, განსაკუთრებით საბერძნეთის ეკლესიამ სასჯელთა ხანგრძლივობის შემოკლება ირჩია. რაკი იგი ერთხელ ამ გზას დაადგა, მრავალჯერ სასჯელი შეამცირა და შეამსუბუქა.

დასავლეთის ეკლესიამ სულ სხვა გზა აირჩია. სასჯელთა სისტემის შემსუბუქების მაგიერ, მან ქონებრივი საზღაურის სასჯელიც შემოიღო, რომელიც მონანიების სისტემასთან ერთად დამნაშავეს მის პასუხისმგებლობას ხშირად სასჯელზე წინანდელ არანაკლებ სიმწვავით აგრძნობინებდა[17].

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, არ შეიძლება ერთი გარემოება მხედველობის გარეშე დავტოვოთ: ბერძნული კანონიკური სამართლი, ისევე, როგორც ბიზანტიურ-ბერძნული სამართალი საერთოდ, VI—XII საუკუნეებში მაინც, ვითარცა დასავლეთ ევროპასთან შედარებით უფრო განვითარებული ქვეყნის საზოგადოებრივი ურთიერთობის ამსახველი, როგორც ზოგადად სა-

---

[17] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II. ნაკვ. II, გვ. 531.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მართლებრივი კულტურის, ასევე სასჯელთა სისტემის შედარებითი სიმსუბუქის თვალსაზრისით მაღლა იდგა კათოლიკური ქვეყნების საეკლესიო სამართალთან შედარებით.

ბერძნულ კანონიკურ სამართალში დასჯითი და ფორმალური ელემენტები გაცილებით უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე დასავლეთის ეკლესიაში.

არ უნდა იყოს ზუსტი ივ. ჯავახიშვილი, როდესაც დასავლეთის ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში სასჯელთა სისტემის შემსუბუქების ნამდვილ მიზეზად იმ გარემოებას თვლის, რომ „მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის გამო შეცოდებულნი და დამნაშავენი თავიანთ ბრალეულობას მალავდნენ და მსჯავრს გაურბოდნენ-ო". ცნობილია, რომ იგივე მიზეზი დასავლეთ ევროპაშიც მოქმედებდა. სასჯელები აქაც მძიმე იყო და ამიტომაც სასჯელის სიმძიმის შიშით თავიანთ ბრალეულობას იქაც არ ამხელდნენ დამნაშავეები. კათოლიკური ეკლესია რომ თავის სასჯელების სისტემით უფრო მკაცრი და ბარბაროსული იყო, ეს შემდგომში ინკვიზიციების ეპოქაში უფრო ნათლად გამოვლინდა. ფაქტია, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ ხელოვნურად შექმნა დანაშაულებათა ისეთი შემადგენლობები, რომელთაც შედეგად მოსდევდათ მასობრივი მასშტაბებით ადამიანთა ჟლეტა. იგივე კათოლიკური ეკლესია ამტკიცებდა ადამიანებსა და ეშმაკს შორის კავშირის შესაძლებლობას და გავლენას ახდენდა საერო კანონმდებლობაზედაც, რათა მკაცრი სასჯელები დაწესებულიყო ეშმაკთან ურთიერთობისათვის, ჯადოსნობის და ერეტიკოსობისათვის. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია და არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის მიზეზით ისე დიდი ოდენობით არ დაღვრილა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, როგორც ეს მოხდა დასავლეთ ევროპაში ინკვიზიციის პარპაშის დროს.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ქართულ ეკლესიაში სამოქმედოდ მიღებულ სჯულის კანონს და ვნახოთ ცალკეული ცოდვისა და დანაშაულისათვის როგორ სასჯელებს აწესებდა იგი.

იოანე მმარხველი ჩამოთვლის იმ მთავარ დანაშაულობებს, რომელთანაც აუცილებლად უნდა იბრძოდეს ეკლესია. ასეთებია: ხელით დაცემა (ონანიზმი), მრუშობა, მამათმავლობა, უსაკო პირის გახრწნა, პირუტყვთმავლობა, სისხლის აღრევა და „ნებით გინა უნებლიეთ კაცის კლვა"[18]. კანონმდებელი იმოწმებს პავლე მოციქულის სიტყვებს და ამბობს: „ნუ სცთებით — არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა მპარავთა, არცა მომთვრალეთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ"-ო. ამასთან დაკავშირებით ავტორი იძლევა მეძავის ცნების განმარტებას და წერს: „მეძავი არა მას ეწოდების, რომელ ერთგზის ანუ უმეტესცა შეემთხვიოს, ანუ იძულებივ წააკიდოს, არამედ რომელი განზრახვით და წარმადებით იყოს მოქმედი ცოდვისა-ო".

მრუშობას ავტორი ასხვავებს სიძვისაგან. იოანე მმარხველის აზრით, მრუშობასთან იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე „რაჟამს ქრმის ცოლსათანა ვინ დაეცეს ანუ ცოლიანსა მამაკაცსა მოუწოდოს დედაკაცმან თავისთანა დაცემად-ო". მრუშობის ასეთი გაგება შემდგომში ათვისებული იქნა საერთო კანონმდებლობის მიერაც.

[18] Н. А. Заозерский. А. С. Хаханов, Номоканон Иоанно Постника. М., 1902, с. 20.

მამათმავლობისათვის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება „სიგლახა-კე", „სიყრმე" და ძალადობა. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივზე უფრო მსუბუქი სასჯელი ინიშნება. უასაკოდ ქალიც და ვაჟიც მხოლოდ 11 წლის ასაკამდე ითვლებიან და მათი გახრწნაც ამ შემთხვევაში დიდ დანაშაულად იყო მიჩნეული.

ალბათ ბიბლიის („ძველი აღთქმის") გავლენით პირუტყვთმავლობა მძიმე დანაშაულად იყო მიჩნეული ბიზანტიაში. ასევე იოანე მმარხველთანაც.

სჯულის კანონის მიხედვით სასტიკად ისჯება აგრეთვე სისხლის აღრევაც. ამავე დროს ხსენებული საკანონმდებლო ძეგლი იძლევა ამ დანაშაულობის ფართო დიფერენციაციას. სასტიკად უნდა დაისაჯოს პირი, რომელსაც ორ დასთან აქვს სქესობრივი ურთიერთობა, მაგრამ აქ განსხვავებულ უნდა იქნეს დედით ერთი და მამით ერთი და. უფრო მძიმე დანაშაულია დედით და მამით ღვიძლ დასთან აღრევა. მამის ძმისწულთან და დედინაცვალთან აღრევაც სასტიკად უნდა აიკრძალოს. „ხოლო უძვირესი და უსაწყლობელესი დისა და ასულისა არს აღრევა თვისსა დედასა თანა, რომელ ესე წარმართთა შორის იქნების სპარსთა და ოვჳიკთა და სხუათა უსჯულოთა"[19]. მართლაც სპარსელებთან, როგორც ამის შესახებ სანდო ცნობები მოგვეპოვება, ახლო ნათესავთა შორის ქორწინება ხშირი მოვლენა იყო. სამეფო სახლის შიგნით და არისტოკრატიულ წრეებში უახლოეს ნათესავთა შორის ქორწინება ლეგალური მოვლენა იყო. ცნობილია, რომ აქემენიდმა კამბიზმა იქორწინა თავის ღვიძლ დაზე, ხოლო არტაქსერქსე მეორემ კი ცოლად საკუთარი ასული შეირთო. სხვათა შორის იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობის" ერთ-ერთი რედაქციის მიხედვით ვარსქენ პიტიახშსაც სურდა საკუთარი ასულის ცოლად დასმა. როგორც ჩანს, ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის სპარსეთშიც კი ასეთ მოქმედებას სავსებით ნორმალურად თვლიდნენ. ასეთი იყო სპარსული ტრადიცია[20]. სწორი ჩანს ცნობა, რომ სპარსეთში დედასა და შვილს შორის ქორწინებასაც ჰქონია ადგილი. ქრისტიანული ეკლესია ასეთ უმსგავსოებას გადაჭრით ებრძოდა. ამ მხრივ ქრისტიანობა პროგრესულ როლს თამაშობდა.

კანონმდებლობის აზრით, სასჯელი მით უფრო მძიმე უნდა დაწესდეს, რაც უფრო ახლო ნათესავთა შორის ხდება სისხლის აღრევა. ასევე მამათმავლობაც ახლო ნათესავთა შორის უფრო სასტიკად ისჯება, ვიდრე გარეშეთა შორის.

ნებით მკვლელობისათვის კანონმდებელი აწესებს ოცი წლით უზიარებლობას. იგივე ქმედობისათვის, თუ კი იგი უნებლიეთაა ჩადენილი, დადგენილია ათი წლით უზიარებლობა. გათხოვილ, ქმრიან ქალთან კი — 15 წლით უზიარებლობა. მაშასადამე, კანონიკური სამართლის თვალსაზრისით უნებლიეთ მკვლელობაზე უფრო მძიმე დანაშაული იყო ქმრიან ქალთან მრუშობა. იგივე სასჯელი იყო გათვალისწინებული მამათმავლობისათვის. ქვრივთან, მხევალთან ან მეძავთან სქესობრივი კავშირისათვის სასჯელად გათვალისწინებული იყო შვიდი წელი უზიარებლობა.

თუ როგორ გულმოდგინედ იცავდა ქრისტიანული ეკლესია მის მიერ შექმნილ და დანერგილ ნათესაობის ახალ სისტემას, ეს გარკვევით ჩანს იმ ფაქტიდან, რომ განზრახ მკვლელობისათვის ოცი წლის უზიარებლობა იყო სასჯელის ღონისძიებად გათვალისწინებული, ხოლო თუ ნათლია ნათლულთან მრუშობას

[19] იქვე, გვ. 26.

[20] А. Сулеймани. Семья в сасанидском государстве. Известия А Н Азербайджанской ССР. Серия обществен. наука. № 3. 1961. с. 88—98.

დაიწყებდა, სასჯელის სახით ოცდახუთი წლით უზიარებლობას ადგენს კანონმდებელი. ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის დამახასიათებელი თვისებაა ეკლესიის უზარმაზარი როლი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რელიგიური იდეოლოგიაა გაბატონებული ხსენებულ საზოგადოებაში. ამ უკანასკნელით არის გაჟღენთილი გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებები. საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა რელიგიური იდეოლოგიის ასაყვავებლად ფეოდალიზმის დროს. აქედან გასაგებია ის დიდი გავლენა რელიგიისა სამართლის სისტემაზე, რასაც შუა საუკუნეებში ჰქონდა ადგილი. ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის გასაგები ხდება სჯულისკანონის მიხედვით სასჯელთა სისტემის არსი. დანაშაულის სიმძიმის შეფასება აქ რელიგიური მსოფლმხედველობის ასპექტში ხდება. განზრახ მკვლელობისათვის იოანე მმარხველის ნომოკანონი ოცი წლით უზიარებლობით სჯის დამნაშავეს, ხოლო დედასა და ასულსა თანა მრუშობისათვის ოცდაათი წლის უზიარებლობით. თხუთმეტი წლის განმავლობაში ზიარება ალეკვეთება იმ პირს, ვინც „ერთ-კერძო“ დასთან „დაეცემა“. კანონმდებლის აზრით, თუ ვინმე ხუცის ან დიაკვანის ცოლთან სქესობრივ კავშირს დაიჭერს „მეუღლეთა მათთა მკვლელ არს“. ამ მოსაზრებით ხსენებული დანაშაულისათვის კაცის კვლის სასჯელი წესდება. VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებაში გარდა უზიარებლობისა, სასჯელის ღონისძიებების სახით გათვალისწინებულია „მარხვა“, „მუხლთ-დრეკა“ და სხვა. ქალის მოტაცებისათვის დამნაშავე ეკლესიიდან მოკვეთით ისჯება.

თუ გათხოვილი ქალი ქმარს მიატოვებდა და სხვისას წავიდოდა, მრუშობის სასჯელს იმსახურებდა. ხოლო „რომელმან დაუტეოს ცოლი თვისი გარეშე სიტყვისა და სხვა შეირთოს, იმრუშოს, უკეთუ კულა მოიქცეს სინანულად და უჯეროდ შერთული იგი განიშოროს, სინანული მისი ესრეთ იყოს, ორ წელს ქვედავდობასა შინა აღასრულოს, ერთსა წელიწადსა ერისა-თანა დასდგეს და მეშვიდესა წელსა ღირს იქმნას ზიარებისა, უკეთუ ცრემლითა მხურვალითა შემუსვრილთა გულითა შეინანოს“[21].

„ვაჰანის ქვაბთა განგების“[22] მიხედვით სასჯელთა შორის ვხვდებით მონასტრიდან მოკვეთას, განდევნას. მონასტრის წესდების სერიოზული დარღვევისთვის ძირითადი სასჯელი იყო მონასტრიდან განდევნა და თანამდებობიდან გადაყენება. მონასტრიდან განდევნას დამატებითი ღონისძიების სახით ზოგჯერ ქონებრივი სახის სასჯელიც ემატებოდა.

რა თქმა უნდა, რიგი მძიმე ხასიათის დანაშაულს საერო და საეკლესიო ხელისუფლება ხელიხელჩაკიდებული ებრძოდა. დამნაშავეს ამ შემთხვევაში შეეფარდებოდა როგორც საეკლესიო, ასევე სახელმწიფო სასჯელიც. მაგრამ გვიანი შუა საუკუნეების „საქართველოში“, სამეფო ხელისუფლების შესუსტებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა მიზეზებით, ხშირად საეკლესიო სამართლის ძეგლებში ვხვდებით სახელმწიფო სასჯელების შეფარდების მოთხოვნასაც, ამ მხრივ ყურადღების ღირსია XVI საუკუნის შუა წლებში იმერეთის სამეფოში შედგენილი ე. წ. „კათლიკოზის სამართალი“[22]. სადაც ვკითხულობთ:

---

[21] Х. С. Хаханов. Правила VI вселенского собора, с. 37.

[22] „ვაჰანის ქვაბთა განგება“. 1939. ლ. მუსხელიშვილის გამოც.

[23] იხ. ს. კაკაბაძე, სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო. ტფილისი, 1913. შდრ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, 1963, გვ. 397.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს შეჩუენებულიმცა არს წმინდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიჟოს“.

„ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან რძალი შეირთოს შეჩუენებულიმც არს ღვთისაგან მისთა წმინდათაგან და შუიდთა კრებათაგან, წმინდათა მოციქულთაგან. კაციცა და დედაკაციცა გალმა-გამოღმა დაკირონ და მკირავნი ჩუენგან დალოცვილ და კურთხეულ იყუნენ“.

წყარო ასეთი დადგენილებებისა, როგორც ეს კათალიკოზთა სამართალშიაც არის აღნიშნული, უნდა იყოს სჯულისკანონი. ერთგან კათალიკოზთა სამართალში იკითხება: „ვინცა კათალიკოზს და ეპისკოპოზსა აგინოს და უპატიურობა ჰკადროს, რარიგადაც სჯულისკანონში ეწეროს, იმ რიგად განიპატიჟოს“-ო. ტყვის გაყიდვისათვის „კათალიკოზის სამართალი“ აწესებს „წმინდათა კრებულთაგან შეჩვენებას და განხდას“. გარდა ამისა ხსენებული დამნაშავე უნდა ჩამოახრჩონ.

ეკლესიის მკრეხელთათვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. ასე რომ „კათალიკოზთა სამართალ-“ში საჯარო, სახელმწიფო სასჯელები სავსებით აშკარად იყო გამოხატული.

Г. Н. НАДАРЕЙШВИЛИ

## ЦЕЛЬ И ЗАДАЧИ НАКАЗАНИЯ ПО ЦЕРКОВНОМУ ПРАВУ

Резюме

Древняя грузинская христианская церковь и грузинское церковное право способствовали усвоению основных понятий передового для своего времени греко-римского права, разработке субъективной стороны преступления, освобождению от ответственности за случай (казус) и т. д. Сущность церковных наказаний состояла в том, что преступника лишали всех или только некоторых прав и благ в зависимости от степени вины подсудимого. Целью наказания в основном признавалось исправление преступника через публичное покаяние (наказание) и его «воссоединение» с церковью.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

გ 162/32

ფასი 85 კაპ.

ინდექსი 76196